შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: დანაშაულში თანამონაწილეობა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **ვასილ ღვინიაშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი **თამარ ებრალიძე**

თბილისი

2019

შინაარსი:

ანოტაცია .....გვ 3.

Annotation…….....გვ 4.

შესავალი ..... გვ 5.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....გვ 7.

თავი II. პრობლემის კვლევა-ანალიზი.....გვ 7.

2.1 თანამონაწილეობის ცნება და ისტორიული მიმოხილვა.....გვ 9

2.1.2. თანამონაწილეთა სახეები. .....გვ 15.

თავი III თანამონაწილეთა პასუხუსმგებლობის სპეც საკითხები......გვ 37.

3.1. ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა.....გვ 7.

3.1.1. ჯგუფური დანაშაული.....გვ 40.

3.1.2. დანაშაულის შემხებლობა და დანაშაულის შეუტყობინებლობა.....გვ 43

თავი IV კვლევის შედეგები ..... გვ 48.

დასკვნა......გვ 50.

გამოყენებული ლიტერატურა.....გვ 51.

ანოტაცია

ნაშრომი ეძღვნება სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის - დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიულ ანალიზს. დანაშაულის ელემენტები - ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი თანამონაწილეობის ინსტიტუტში მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ვლინდება, რომელთა განხილვას ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

ნაშრომში მოცემულია საკითხის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, გაანალიზებულია თანამონაწილეობის ერთიანი და დუალისტური სისტემა, თანამონაწილეობის სუბიექტური და ობიექტური თეორიები, დახასიათებულია თანამონაწილეთა სახეები - ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე და მათი ქმედების კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამსრულებლის ფიგურის იურიდიულ ანალიზს, რადგან ამსრულებელი მართალია არ არის თანამონაწილე, მაგრამ თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. ამიტომ ამსრულებლის ცნების საფუძვლიანი დახასიათების გარეშე შეუძლებელია თანამონაწილეობის ინსტიტუტის სრულყოფილი ანალიზი. ნაშრომში განხილულია თანამონაწილეობისა და თანაამსრულებლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნისა და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვა სპეციალური საკითხები.

Annotation

This paper is dedicated to one of the most important institutions in criminal law – Juridical analysis of criminal complicity. Criminal elements - components of the action, law defiance and blame are revealed in complicity by various specificities, discussion of which holds a major part of the paper. There is presented: short overview of subject history, analysis of unified and dualistic system of complicity, subjective and objective theories of complicity, description of types of accomplice – organizer, encourager, aider, and problems associated with qualification of their actions. Special attention Is paid to judicial analysis of principal actor. Because, it is true that principal actor Is not an accomplice, but due to the accessory nature of complicity, the accomplice liability depends on principal actor liability. Therefore, a comprehensive analysis of criminal complicity cannot be performed without a thorough description of principal actor. Other special issues are also discussed, such as: distinction between an accessory and an abettor, specific liabilities of accomplice, and etc.

შესავალი

სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის, დანაშაულში თანამონაწილეობის არსის უკეთ გასაგებად ნაშრომში შევეხებით ისეთ საკითხებს როგორიცაა თანამონაწილეობის ცნება, სახეები. ასევე შევეხებით თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხებს. დანაშაულში თანამონაწილეობაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მის სისტემატიზაციას, თანამონაწილეობის ირგვლივ არსებულ სხვადასხვა თეორიებს. აგრეთვე საჭიროა გაიმიჯნოს თანაამსრულებლობა და თანამონაწილეობა, მიმოვიხილავთ დანაშაულში თანამონაწილეობის ისტორიულ წარმოშობას და განვითარებას თანამედროვე სისხლის სამართალში. ზემოთ ხსენებული თემების ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ისეთი ინსტიტუტის არსებობა სისხლის სამართალში, როგორიც დანაშაულში თანამონაწილეობა.

თემის აქტუალობა- ქართული სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულში თანამონაწილეობას მეშვიდე თავის 23-ე მუხლს უთმობს და განმარტავს რომ ეს არის ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა, განზრახი დანაშაულის ჩადენაში. პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშორებას წარმოადგენს, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს

ზრდის ის, რომ დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა აადვილებს მის ჩადენას. დაბრკოლება, რომელიც გადაულახავი იქნებოდა ერთი პირის მიერ, ადვილად შეიძლება დაძლიოს რამდენიმე კაცის გაერთიანებულმა ძალ-ღონემ. შესაბამისად თემის აქტუალობა იმას წარმოადგენს, რომ თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის დროს, რთულია დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის როლების განაწილება, რათა ობიექტურად მოხდეს თითოეული დანაშაულის ჩამდენი პირების როლების სწორად განაწილება, რადგან დადგეს სწორი და ობიექტური განაჩენი. ასევე სირთულეს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენის დროს დარაჯად ყოფნა და უნდა დაკვალიფიცირდს, როგორც დამხმარედ თუ დანაშაულის თანაამსრულებლად.

დასახული მიზნები - ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში უპირველესად მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ყველა ის პრობლემა რაც გვაქვს სახეზე თანამონაწილეობის დროს, როგორც კანონმდებლობასთან ასევე სასამართლო პრაქტიკასთან. ასევვე ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ის, რომ მკაფიოდ იქნეს ერთმანეთისგან გამიჯნული წამქეზებელი, დამხმარე და ორგანიზატორი. აქვე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამსრულებლის და დამხმარის როლები ერთმანეთისგან, რათა არ მოხდეს ადამიანის კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებული უფლებებისს დარღვევა.

ამოცანები - იმისთვის, რომ დასახული მიზნები განხორციელდეს და შედეგი მივიღოთ, საჭიროა სწორი მიდგომა და აუცილებელია გადაიჭრას შემდეგი ამოცანები.

- თანამონაწილეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა
- თანამონაწილეთა სახეები.
- თანამონაწილეთა პასუხუსმგებლობის სპეც საკითხები
- ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა
- ჯგუფური დანაშაული
- დანაშაულის შემხებლობა და დანაშაულის შეუტყობინებლობა

- სტატისტიკური კვლევის ანალიზი

კვლევის მეთოდები - იმისთვის რომ ჩემს მიერ დასახული მიზნები და ამოცანები განხორციელდეს ნაშრომში გამოყენებულია, როგორც ისტორიული მეთოდი, ასევე შედარებითი და სტატისტიკური ანალიზი.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას ყველაზე დიდი თეორიული ცოდნა მომცა თინათინ წერეთელის მონოგრაფიამ ,,თანამონაწილეობა დანაშაულში", აგრეთვე ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის წიგნმა ,,სისხლის სამართალი", ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. მათ სრულად აქვთ განხილული და აღწერილი დანაშაულში თანამონაწილეობის ცნება, მისი სახეები , შესაბამისი კვალიფიკაცია.

მოყვანილი აქვთ ციტირებები სხვადასხვა ავტორის წიგნებიდან , რომლებიც გადმოვიტანე და ამით უფრო მეტად გავამრავალფეროვნე ჩემი ნაშრომი .

დანაშაულის თანამონაწილეობა ქართულ სისხლის სამართალში პირველად პროფესიონალურად დამუშავდა თინათინ წერეთელის მიერ, რომელმაც ამ პრობლემას ცალკე მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა. ამიტომ ხსენებული მონოგრაფია ძალიან მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მასში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა თანამონაწილეობის ბუნება, მისი ცნება და სახეები, მიზეზობრივი კავშირი თანამონაწილეობისათვის, დანაშაულის ერთიანობა თანამონაწილეობის დროს, თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის აქცესორული

ხასიათი. დეტალურად არის განხილული თანამონაწილეთა სახეები-წამქეზებელი, ორგანიზატორი და დამხმარე.

დიდი ყურადღება ეთმობა ამსრულებლის ფუნქციას, რადგან ამსრულებელი მართალია თვითონ თანამონაწილე არ არის , მაგრამ თანამონაწილეთა ქმედება მას უკავშირდება.

თინათინ წერეთლის ხსენებული ნაშრომი გამოქვეყნებულია დაახლოებით 50 წლის წინ. ამიტომ დღეისათვის ცოტა მოძველებულად უნდა ჩაითვალოს .

ნაშრომზე მუშაობისას უფრო მნიშვნელოვანი იყო შემდეგი წყაროები: ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი ,,დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები". წიგნის საკმაოდ დიდი ნაწილი ეხება დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას. ამიტომ ახალი კანონმდებლობის ანალიზის თვალსაზრისით თემაზე მუშაობისას მჭედლიშვილი ჰედრიხის დასახელებული მონოგრაფია ძალიან მნიშვნელოვანი წყარო იყო , რადგან მასში თანამონაწილეობის შესახებ თანამედროვე სისხლის სამართლის ძირითადი დებულებია მოცემული.

ნაშრომზე მუშაობისას მნიშვნელოვანი იყო მერაბ ტურავას სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო. მასში კარგად არის გამიჯნული თანაამსრულებლობისა და ჯგუფური დანაშაულის სახეები. აგრეთვე კარგად გავიაზრე, რა არის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული. ჯგუფის ყველა წევრის ფუნქცია მოვალეობები და ამსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხები. ასევე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ოთარ გამყრელიძის ,,დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა'', სადაც კარგად არის გამიჯნული ერთმანეთისგან ბანდა და ორგანიზაბული ჯგუფი. ბანდა არის დანაშაულისთვის გაერთიანებული რამდენიმე პირი.

დამხმარის ფიგურის სრულყოფილად გასაშუქებლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ადამ მახარაძის წიგნი, „დამხმარის ფიგურა სისხლის სამართალში". აქ

ავტორს საკმაოდ ვრცლად აქვს განხილული თანამონაწილის ერთ-ერთი ფიგურა დამხმარე. დამხმარის ფიგურაზე წიგნში უამრავი მაგალითია მოყვანილი, რაც გვეხმარება, რომ სიტუაცია სრულად წარმოვიდგინოთ და კარგად გავაცნობიეროთ დამხმარის ფიგურის მნიშვნელობა დანაშაულში თანამონაწილეობის დროს. განვიხილე დამხმარის ცნებაზე არსებული შეხედულებები, მისი პასუხიმგებლობის საკითხები და შეღავათები ნებაყოფლობით უარის თქმის დროს, გავმიჯნე ერთმანეთისგან დანაშაულში თანამონაწილეების და დამხმარის მოვალეობები და ფუნქციები.

ვფიქრობ რომ ამ წიგნების შესწავლის შემდეგ ძალიან ბევრი და სასარგებლო ინფორმაცია მივიღე. განვიმტკიცე აქამდე ნასწავლი თეორიული მასალა ძალიან კარგად, გავიხსენე და გავიგე ძალიან ბევრი ახალი რამ, რაც დამეხმარება პრაქტიკაში არა მხოლოდ დღეს, არამედ მომავალშიც გავხდე უფრო მეტად პროდუქტიული.

თავი II. პრობლემის კვლევა-ანალიზი

2.1 თანამონაწილეობის ცნება და ისტორიული მიმოხილვა

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილია დანაშაულის შემადგენლობები, აქ იგულისხმება დანაშაულის ცალკეული, ერთპიროვნული ამსრულებული. ეს არის პირი, რომელმაც განახორციელა დანაშაულის შემადგენლობა მარტოდმარტო, სხვა პირის თანამონაწილეობის გარეშე. ასეთი პირი დანაშაულის შესასრულებლად იყენებს მექანიკურ თუ ქიმიურ კანონზომიერებს, ცხოველთა მოქმედებებს, ზოგჯერ დანაშაულს სხვა ადამიანის მეშვეობითაც ასრულებს, ანუ სხვას იყენებს როგორც ბრალის უნებისყოფო იარაღს.

თანამონაწილეობის ცნება გულისხმობს რამდენიმე შერაცხადი და ბრალეული პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედომის ერთობლივად შესრულებას. თანამონაწილეობა სხვადასხვა ფორმებით გამოიხატება, მაგალითად : თანამონაწილე გამოდის ამსრულებლის როლში, რამდენიმე დამნაშავე ერთდროულად ჰკლავს ერთ პირს ან ვნებას ან შეურაცხყოფას აყენებს მის სხეულს. ასეთი სახით თანამონაწილეობას თანაამსრულებლობა ეწოდება და გულისხმობს როლების გადანაწილებას. მაგალითად: ერთი თანამონაწილე აგულიანებს მეორეს დანაშაულის ჩადენისკენ, ის ინიციატორია. მეორე მონაწილე უშუალოდ დანაშაულს სჩადის, ის ამსრულებელია, მესამე იარაღს აწვდიდეს და ა.შ. [1]

თანამონაწილეობის ისტორიული მიმოხილვა

რას ნიშნავდა ძველად თანამონაწილეობა?

როგორ განიხილავდნენ მას ისტორიულად და ეკისრებოდა თუ არა პასუხისმგებლობა თანამონაწილეს ?

ამ ყველაფერს განიხილავენ ძველი ისტორიული წყაროები. ერთ-ერთია ძველი ქართული სამართალი, რომელიშიც კარგად არის აღწერილი რა არის თანამონაწილეობა დანაშაულში და ამსრულებელზე დაკისრებული პასუხისმგებლობა.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი წიგნში ,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები '' გვეუბნება რომ ძველ ქართულ სამართალში განარჩევდნენ დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა ფორმებს. ერთ-ერთი მათგანია რამდენიმე პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაული. მისი ყველაზე მარტივი ფორმა არის ორი პირის მიერ ასრულებული უკანონობა, რომელსაც შფოთი ანუ ,,ორკერძოვე'' დანაშაული ერქვა. ავტორს წიგნში მოყვანილი აქვს ციტატა

[1] თინათინ წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები'' მე-2 ტომი .2007 წ. გვ 10-11.

ივ.ჯავახიშვილის თხზულებებიდან და განიხილავს გიორგი მთაწმინდელის უძველეს აზრს. მთაწმინდელის აზრით, ორივე მონაწილეს თანაბრად ეკისრებოდა დანაშაული და მიეცემოდა პასუხისმგებლობაში. ,, ორთავე იყოს ბრალი და ორკერძოვე ცხად-იყოს მეშფოთეობა''[2] . ასეთი ტიპის დანაშაული რასაკვირველია არ იყო თანამონაწილეობა, რადგან ისინი ერთი საერთო მიზნისთვის კი არ იბრძოდენენ, არამედ ერთმანეთს მტრობდნენ.

ძველ ქართულ სამართალში ასევე ვხვდებით სხვადასხვა ტერმინოლოგიით განმარტებულ დანაშაულის სახეებს. მაგალითად გვხვდება, **,,განმზრახი**'' რომელიც ეწოდებოდა წამქეზებელსა და დანაშაულის ამსრულებელს. **,,შეზრახება**''- რამოდენიმე პირთა შეთანხმებას წინასწარ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. მის თვითვეულ მონაწილეს კი ,, **თანამზრახი**'' ერქვა. ქ.მჭედლიშვილს ძველ ქართულ სამართალში დანაშაულის სხვა ფორმები კარგად აქვს წამოდგენილი. ,,პირს, რომელიც განზრახვის შეტყობის შემდეგ ბოროტმოქმედებაში თანამონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა, **,,მიმდგომი**'' ერქვა, თავად ქმედებას - **,,მიერთება**'', **,,თანაშედგომა**'' და **,,მიმდგომობა**''. XIII საუკუნეში ყოველგვარი მონაწილეობის და დახმარების აღსანიშნავად იურიდიულ ტერმინებს : ,, **თანადგომას**'' და **,,ასაბიობას**'' ხმარობდნენ.თავად იმ პირს კი, რომელიც დანაშაულს სხვასთან ერთად ჩაიდენდა, **,,მეშუელი**'' ან **,,ასაბია**'' ეწოდებოდა. თანამონაწილეობის სახეების აღსანიშნავად ქართული მწერლობასა და სამართალში სხვა იურიდიული ტერმინებიც გამოიყენებოდა: ,, **თანაშემწე**'', ,, **ძალისმცემელი**'' **და ,,შენაგამცემელი**''.[3] ქ.მჭედლიშვილი გვეუბნება რომ ექვთიმე მთაწმინდელი ტერმინ **,,თანაშემწეს**'' და ,,**ძალისმცემელს**'' მცირე სჯულის კანონის ქართულ თარგმანში ხმარობს. ,,თანაშემწე'' ბერძნულ დედანში გამოყენებულ ტერმინს შეესაბამება, ,,ძალმცემელი'' კი არც ბერძნულ ტექსტში გვხვდება, არც ამ ბერძნული ტექსტის

[2] ქეთევან მჭედლიშილი-ჰედრიხი ,, ,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები'' 2011წ.გვ 134.

[3] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 134.

სლავურ თარგმანში და არც სულხან-საბას ,, სიტყვის კონაში''.[4] ავტორი განიხილავს ივ ჯავახიშვილის თხზულებებს , სადაც ,,ძალმცემელი'' ისეთი მეშველი უნდა ყოფილიყო, რომელიც , მართალია ბოროტმოქმედების ფიზიკური მონაწილე არ იყო, მაგრამ ამსრულებელს მის განსახორციელებლად ძალას, საშუალებას აძლევდა და დანაშაულის განხორციელებას უწყობდა ხელს. ტერმინი ,,შინათგამცემელი'' თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის და შემდგომი პერიოდის ჟამთააღმწერელის თხზულებებშია მოხსენიებული. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ,, შინათგამცემელი'' ისეთ პირს ეწოდებოდა, რომელმაც განსაკუთრებული ნდობისა თუ თანამდებობის წყალობით რაიმე საიდუმლოება იცოდა და ამ თავის საიდუმლო ცოდნის გამჟღავნებით ბოროტმოქმედების განხორციელებას უწყობდა ხელს.[5] როგორც ვხედავთ, ქართული მხატვრული, ისტორიული და სამართლებრივი ლიტერატურა ყველა იმ ტერმინს იცნობს, რომელსაც დღეს თანამონაწილეობის სხვადასხვა სახის გამოხატვისთვის ხმარობენ. ტერმინ ,,შინაგამცემელს'' კი მხოლოდ ქართულ სამართალში ვხვდებით. ძველ ქართულ ჩვეულებით სამართალში პიროვნებისა და საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულებს კერძო დელიქტის სახე ჰქონდა და დაზარალებულისათვის სულ ერთი იყო, თუ რამდენი პირი მიიღებდა მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში, ის მხოლოდ ზიანის ანაზრაურებით იყო დაინტერესებული. ევროპის სისხლის სამართალში მოძღვრება თანამონაწილეობის შესახებ შუა საუკუნეების იტალიაში დაამუშავეს. ამსრულებელს, წამქეზებელსა და დამხმარეს შორის განსხვავებას კი საფრანგეთის 1812 წლის კოდექსმა დაუდო სათავე.[6]

---

[4] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 135.

[5] ივ.ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, გვ.20. ციტირებულია ქ.მჭედლიშილის დასახ. ნაშრომიდან. გვ. 135.

[6] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011წ. გვ 136.

თანამონაწილეობის ერთიანი და დუალისტური სისტემა

თანამონაწილეობის ერთიანი და დუალისტური სისტემა ერთმანეთისაგან განირჩევა შემდეგნაირად, ერთიანი სისტემა ამსრულებლის ექსტენსიურ ცნებაზეა აგებული, დუალისტური სისტემა კი ამსრულებლის რესტრიქტიულ ცნებაზე.

თანამონაწილეობის ერთიანი სისტემის მიხედვით, ამსრულებლად ითვლება ყველა, ვინც მიზეზობრივადა დაკავშირებული შედეგთან. ყველა, ვინც დანაშაულის ჩადენაში ოდნავ მაინც შეიტანს პატარა წვლილს, დაისჯება როგორც ამსრულებელი. ამავე სისტემის მიხედვით დაიჯება წამქეზებელი, ვინც ადამიანის მკვლელობაში მიიღებს მონაწილეობას და დაეკისრება სრული ამსრულებლის სასჯელი. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მან მცირე წვლილი შეიტანა, თუ მთლიანად მან დაგეგმა დანაშაული. სწორედ ამის გამო თანამედროვე ევროპული სისხლის სამართალი უარყოფს თანამონაწილეობის ერთიან სისტემას.

ნაცვლად თანამონაწილეობის ერთიანი სისტემისა, დუალისტური სისტემა ერთმანეთისგან განარჩევს ამსრულებელს და თანამონაწილეს. ქართული სისხლის სამართალი განარჩევს აგრეთვე განზრახი და გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩამდენს. ,,განზრახი დანაშაული ამსრულებლის დუალისტურ (აქცესორულ) კონცეფციაზეა აგებული. გაუფრთხილებელი დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას კი ერთიანი ამსრულებლის კონცეფცია უდევს საფუძვლად''.[7]

[7] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 137.

თანამონაწილეობის სუბიექტური და ობიექტური თეორიები

თანამონაწილეობის ყველაზე პრობლემური საკითხი არის ამსრულებლისა და დამხმარის ურთიერთ გამიჯვნა. სუბიექტური თეორიის მიხედვით, ამსრულებელი არის ის, ვისი ქმედებაც დაკავშირებულია მიზეზობრივად შედეგთან. ამიტომ წამქეზებელიც და დამხმარეც ამსრულებლები არიან. ,,სუბიექტური თეორია არ იძლევა შესაძლებლობას, გათვალისწინებულ იქნას სპეციალური სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკა, რადგან ,,ამსრულებლის ნებით'' მოქმედი სპეციალური სუბიექტის ნიშნების არმქონე დამხმარე ან წამქეზებელი ამსრულებლად ჩაითვლებიან. გარდა ამისა, სუბიექტური ნიშნების მიხედვით თანამონაწილეთა სახეების ერთმანეთისაგან გამიჯვნა მტკიცების სიძნელეებს აწყდება, რადგან ,,საკუთარი ინტერესი'' და ,,სურდა ქმედება, როგორც საკუთარი'' ქმედების შემადგენლობის ნიშნებს არ წარმოადგენენ. ამსრულებლის წმინდა სუბიექტურ თეორიას დღევანდელ გერმანულ სისხლის სამართალში საკანონმდებლო საფუძველი აღარ აქვს და სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც არავითარ როლს აღარ ასრულებს. მიუხედავად ამისა, ისტორიული მნიშვნელობის გამო სისხლის სამართლის ნებისმიერ სახელმძვანელოში ფიგურირებს.[8] არსებობს ორი სახის ობიექტური თეორია: ფორმალური და მატერიალური. ფორმალური თეორიის მიხედვით ,,ამსრულებელია ის, ვინც დანაშაულის მთელ შემადგენლობას ან მის ნაწილს უშუალოდ ანხორციელებს. თანამონაწილეა ის, ვინც ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად მოსამზადებელ ქმედებაში მიიღებს მონაწილეობას, ან დანაშაულის ჩადენას სხვაგვარად შეუწყობს ხელს. არც ამ მოძღვრებას აქვს ქართულ სისხლის სამართალში საკანონმდებლო საფუძველი, რადგან ფორმალურ-ობიექტური თეორია ცალსახადაა

[8] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 144.

ორიენტირებული ქმედების შემადგენლობის საკუთარი ხელით განხორციელებაზე, რაც შუალობითი ამსრულებლის ამსრულებლად აღიარების საშუალებას არ იძლევა.

,,მატერიალურ-ობიექტური თეორია ამსრულებელსა და თანამონაწილეს ერთმანეთისგან მათ მიერ განხორციელებული ქმედების მნიშვნელობის, დანაშაულის აღსრულებაში მათ მერ შეტანილი წვლილის მიხედვით გამიჯნავს. თანაამსრულებლისა და დამხმარის სამართლებრივი ფიგურების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად მატერიალურ კრიტერიუმის- მიზეზობრივი კავშირის გამოყენებად გერმანულ სისხლის სამართალში ჯერ კიდევ მე 19-ე საუკუნის ბოლო ოცწლეულში მიექცა ყურადღება. ბირკმაიკერი ამისათვის სისხლის სამართალში გაბატონებულ მიზეზობრივი კავშირის ექვივალენტურ თეორიას კი არა (რომელსაც ამსრულებლის სუბიექტურ თეორიამდე მივყავართ), მიზეზობრიობის ცხოვრებისეულ თეორიას იყენებდა.''[9]

2.1.1 თანამონაწილეთა სახეები

როგორც ვიცით, დანაშაულში თანამონაწილეობა გულისხმობს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას, განზრახი დანაშაულის ჩადენაში. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა თანამონაწილეების ჩამონათვალს განსხვავებულად აყალიბებს.

თ. წერეთელი გვეუბნება, რომ ინგლისის სამართლის მიხედვით, დანაშულში თანამონაწილენი ორ კატეგორიად იყოფიან. პირველ კატეგორიას ეკუთვნიან პირები, რომლებიც დახმარებით ან რჩევით ხელს უწყობენ ერთ ან რამდენიმე მთავარ დამნაშავეს დანშაულის ჩადენაში. ხოლო მეორე კატეგორიის თანამონაწილეებად

[9]ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 145.

ითვლებიან ისეთი პირები, რომლებიც დანაშულის ჩადენაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ მოქმედებენ. მაგალითად, ამ სახის თანამონაწილედ ითვლება ის პირი, ვინც იცოდა ჩადენილი დანაშული და მისცა ერთ-ერთ დამნაშვეს თავშესაფარი, ან აღმოუჩინა მას სხვაგვარი დახმარება, რითაც შესაძლებლობა მისცა მას დამალულიყო. თანამონაწილეთა თავისუბრ კლასიფიკაციას იძლევა არგენტინის 1921 წლის კოდექსი. იგი განასხვავებს: 1) ამსრულებლებს, 2) წამქეზებლებს 3) დამხმარეებს ან დანაშაულის ჩადენისათვის სხვა აუცილებელ თანამონაწილეებს, 4) შორეულ თანამონაწილეებს და 5) შემდგომ თანამონაწილეებს, რომლებმაც დანაშულის ჩადენამდე მისცეს დამნაშავეს თანხმობა დახმარების აღმოჩენაზე. [10]

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი მე-7 თავის 24-ე მუხლი თანამონაწილის სახეების შემდეგ ჩამონათვალს აყალიბებს.

1) ორგანიზატორი - ის ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა, ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი, ან ხელმძღვანელობდა მას.

2) წამქეზებელი - ის ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშულის ჩასადენად.

3) დამხმარე- ის ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

ამსრულებელი

ამსრულებელი თანამონაწილეობაში ძირითად ფიგურას წარმოადგენს, თუმცა თვითონ თანამონაწილე არ არის. 2019 წლის თებერვლიდან დღემდე, სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გავდივარ გამომძიებლის კურსს, აქ ნასწავლი თეორიული მასალა ძალიან დამეხმარა ნაშრომის უფრო კარგად

[10] თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები'' მე-2 ტომი .2007წ.გვ 88

განვრცობაში. ამიტომ განვიხილავ ჯერ სსკ-ს მიხედვით ამსრულებელის განმარტებას და შემდეგ უკვე თეორიულ მასალას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე თავი ეთმობა დანაშაულის ამსრულებლობასა და დანაშაულში თანამონაწილეობის განმარტებებს . კერძოდ ავიღოთ 22-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, ,,ამსრულებელია ის , ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად უშუალოდ მონაწილეობდა მის ჩადენაში, აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ამ კოდექსის მიხედვით ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.''[11]

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ამსრულებელს და თანაამსრულებელს არ მიაკუთვნებს თანამონაწილეთა რიცხვს .

სსკ-ის 22 მუხლის თანახმად, არსებობს **უშუალო ამსრულებელი, თანაამსრულებელი და შუალობითი ამსრულებელი** .

ამსრულებელი ძირითად სუბიექტს წარმოადგენს თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში და მასზეა დამოკიდებული ყველა ფიგურა, აგრეთვე დანაშაულის განხორიცლების შედეგი. უშუალო ამსრულებელია უშუალოდ დანაშაულის განმახორციელბელი პიროვნება.

სსკ-ის მიხედვით, **თანაამსრულებელი** არის პიროვნება რომელიც მონაწილეობდა არა წინასწარ მოსამზადებელი მოქმედებებში, არამედ მან შექმნა პირობა დანაშაულის ასასრულებლად. იგი აუცილებლად გულისხმობს განზრახ ბრალს. ხშირ შემთხვევაში დანაშაული რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ამიტომ თანაამსრულებლობის საკითხი დიდ სირთულეს შეიცავს. მაგალითად: თუ კუკავამ მოკლა ბერიძე, ამ დროს კუკავასთან

[11] სსკ-ის თავის 22-ე მუხლი.

მოვიდა ინჯია და მათ ერთად გაქურდეს ბერიძე, ამ შემთხვევაში ინჯია არის თანაამსრულებელი ქურდობაში და არა ანგარებით მკვლელობაში.[12]

თუ თანამონაწილეობით დანაშაულში არსებობს **შუალობითი ამსრულებელი**, ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ პირზე, რომელსაც სსკ-ის მიხედვით, ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოებების გამო არ დაეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.[13] ამიტომ თუ უშუალო ამსრულებელი მოქმედებს ბრალის გარეშე, მაშინ ის მხოლოდ წამქეზებელი გამოდის. მაგალითან, დევდარიანმა 11 წლის ბავშვი შეუშვა ბინაში გასაქურდად. ბავშვმა ბინა გაქურდა და ნაქურდალი მიუტანა დევდარიანს. ამ შემთვევაში დევდარიანს სისხლის სამართლებრივი პასუხიმგებლობა დაეკისრება, როგორც შუალობით ამსრულებელს. მაგალითად: აფაქიძემ ფსიქიკურად დაავადებულ ნინუას მისცა თოფი კაცის მოსაკლავად. ნინუამ ჩაიდინა მკვლელობა. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს შუალობით ამსრულებლობას.

,,სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად შუალობითი ამსრულებლის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის შუალედ რგოლად ჩართულია იმის მოქმედება, ვისაც „ასაკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“ ამ ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს „ცოცხალი იარაღი“ არასოდეს აგებს პასუხს. მაგრამ აქ კანონმდებლის აზრი უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ. „ცოცხალი იარაღი“ პასუხს აგებს, თუმცა არა იმ უმართლობისთვის, რომელსაც შუალობითი ამსრულებელი სჩადის. მაგალითად, ვინმე აქეზებს ნაცნობს, ესროლოს ბუჩქს, სადაც თითქოს კურდღელი ზის. სინამდვილეში იქ წამქეზებლის მტერია, რომელსაც მოხვდა ტყვია და მოკვდა. წამქეზებელი (აქ იგულისხმება არა წამქეზებელი სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, არამედ პირი, რომელმაც აღუძრა მეორე პირს დანაშაულის ჩადენის

[12] რ.კვარაცხელია -სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ყაჩაღობისათვის.თბ.2010წ.გვ 144-145
[13] საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლი.

სურვილი) პასუხს აგებს განზრახი მკვლელობის უმართლობისთვის, ხოლო „ცოცხალი იარაღი“ დაისჯება გაუფრთხილებლობითი მკვლელობისთვის.[14]

თინათინ წერეთელის მიხედვით ,ამსრულებლის ექსცენტრიული ცნება შეიმუშავა **ბურმა**: ,,მიზეზობრივი კავშირი არის რაიმე მოვლენის წარმოშობის პროცესი. თუ გვსურს დავადგინოთ კონკრეტული მოვლენის მიზეზობრივი კავშირი, უნდა ჩამოვთვალოთ განსაზღვრული რიგით ყველა ის ძალა, რომლებმაც რაიმე მონაწილეობა მიიღეს ამ მოვლენის წაროშობისას. ამ ძალათა მთელი ჯამი განხილულ უნდა იქნეს როგორც აღნიშნული მოვლენის მიზეზი. მაგრამ ამავე უფლებით თითოეული აღნიშნული ძალთაგანი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოვლენის მიზეზი, ვინაიდან მოვლენის არსებობა იმდენადაა დამოკიდებული თითოეულ ცალკეულ ძალაზე, რომ თუ საერთო მიზეზობრივი კავშირიდან გამოვრიცხავთ თუნდაც ერთ-ერთ ამ ძალთაგანს, მოვლენა მთლიანად არ განხორციელედება. ამგვარად, თითოეული ცალკეული ძალა, რომელიც ანიჭებს დანარჩენი ცალკეული ძალების მასას სასიცოცხლო ძალას, ამით კაუზალურად ხდის ყველა დანარჩენს ‘’[15] თანამონაწილენი ერთმანეთისგან არ განიმიჯნებიან, უნდა ვიპოვოთ განსხვავებული ნიშნები დანაშაულბრივ შედეგთან.

ამსრულებელი არის ის ვინც დანაშაულს ჩადის თავისი ნებით, მას შეიძლება ჰყავდეს დამხმარეც. ანუ ვღებულობთ თანამონაწილეობის ორ სახეს, ამსრულებელს და დამხმარეს.

არსებობს თანამონაწილეობის ფორმულა, რომელიც გვეუბნება რომ ამსრულებელი არის ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა თავისი დამოუკიდებელი ნებით, ხოლო მისი დამხმარე არის ის პირი, რომელიც დანაშაულს სჩადის თავისი ნების გარეშე ანუ

[14] ო.გამყრელიძე-საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება.თბ2008წ.გვ 191.
[15]-M.buri. uberkausalitat und deren veranrwortung. leipzig, 1873. 1. ბურის ციტატა მოტანილია თ. წერეთლის წიგნიდან: ,,სისხლის სამართლის პრობლემები“, მე-2 ტომი“, 2007 წ., გვ. 92-93.

დამოუკიდებელი ნებით. თუ ვინმე მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში თავისი ნებით, ის არის ამსრულებელი და პასუხს აგებს თავის ქმედებაზე, თუნდაც მისი მოქმედება იყოს მხოლოდ რჩევა-დარიგება. განვიხილოთ მაგალითი. ,,უკანონოდ შობილი შვილის დეიდამ თავისი დის თხოვნით და მისი ინტერესებისათვის საკუთარი ხელით და სხვის დაუხმარებლად მოკლა ახალშობილი. პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლიანად დასაჯა იგი როგორც მკვლელობის ამსრულებელი, ხოლო ბავშვის დედა, როგორც წამქზებელი. რაისგერიხტმა გააუქმა აღნიშნული განაჩენი და მიუთითა, რომ რამდენადაც შედეგით დაინტერესება დამახასიათებელია ამსრულებლის ნებისათვის, ხოლო ასეთი დაინტერესება სწორედ დედას ჰქონდა, საჭიროა გამოკვლეულ იქნეს, ხომ არა არის დედა ამსრულებელი, ხოლო მისი და - მხოლოდ დამხმარე.''[16]ასეთი დასკვნა თანამონაწილეობის სუბიექტური თეორიიდან გამომდინარეობს, რომელიც დღეს უკუგდებულია.

ხსენებული თეორიის მიხედვით, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ ვისი დაინტერესებით ხდება დანაშაული. ,,საიმპერიო სასამართლოს aminus-ის მთელი ფორმულა,- აღნიშნავდა ველცელი,- ხელოვნური ფორმულაა, დასაბუთების მაგივრად დაუმტკიცებელ დებულებას აყენებს, შემდეგ კი ისევ ეს დებულება მოჰყავს როგორც დასაბუთება: ვინმე ამსრულებელია იმიტომ, რომ აქვს ამსრულებლის ნება,- მაგრამ რის გამო აქვს ამსრულებლის ნება და რა მტკიცდება ამით,- ეს უპასუხოდ რჩება .'[17]

ინტერესთა თეორიის მიხედვით, წამქეზებელი უნდა განვიხილოთ, როგორც ამსრულებელი, რადგან ის არის მთელი დანაშაულის ინიციატორი და მისი ნების გამოხატვაა დანაშაულის ჩადენა. ასეთია ცოლი, რომელმაც მოაკვლევინა ქმარი, ეს

[16] თინათინ წერეთელს მოტანილი აქვს ციტატა წიგნში ,,სისხლის სამართლის პრობლემები მე-2 ტომი '' 2007 წ, გვ 96 დან -იხ.რ.მაურიხი,დასახ.ნაშრ.გვ.524

[17] ველცელის ციტატა მოტანილია თ. წერეტლის წიგნიდან: ,,სისხლის სამართლის პრობლემები, მე-2 ტომი '' 2007 წ, გვ 96.

იყო მისი ნების გამოვლენა ,ანუ დანაშაული მოხდა ცოლის მიერ, ის არის თანაამსრულებელი.

წინასწარი შეთანხმება თანაამსრულებელთა შორის სავალდებულო არ არის. საკმარისია, თუ მათ იციან ერთმანეთის მოქმედების შესახებ. თანაამსრულებლობისათვის არ არის აუცილებელი პირდაპირი განზრახვა, საკმარისია ევენტუალური განზრახვაც. თუ, მაგალიათად ერთი საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრენი დაზღვევის თანხის მისაღებად გადაწყვეტენ სახლის დაწვას, თანაც ითვალისწინებენ, რომ ცეცხლის წაკიდების შედეგად შეიძლება დაიწვას ამ სახლში მცხოვრები რომელიმე მდგმური და უშვებენ ასეთ შედეგს, ცეცხლის წამკიდებელნი მოქმედებენ ევენტუალური განზრახვით და განიხილებიან, როგორც მკვლელობის თანაამსრულებლები.

თანაამსრულებლობის შემთხვევაში თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს, როგორც დანაშაულის ამსრულებელი. ამიტომ მისი მოქმედების კვალიფიკაციის დროს მითითება მუხლზე თანამონაწილეობის შესახებ საჭირო არ არის. რაც შეეხება თითოეული ამსრულებლისათვის სისხლის სამართლის კონკრეტული ღონისძიების აღრევას, თანაამსრულებლისათვის დამახასიათებელი პირადი გარემოების ზეგავლენას დანარჩენ ამსრულებელთა პასუხისმგებლობაზე, თანაამსრულებლის ექსცეს დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღების და სხვ. ეს საკითხები თანაამსრულებლობის დროს ამგვარადვე წყდება, როგორც თანამონაწილეობის დროს. ამიტომ მათ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის ერთად განვიხილავთ.[18]

[18]ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხი-სისხლის სამართლი.2011წ.

თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ერთმანეთისგან გამიჯვნა

,,სსკ 22- ე მუხლი თანამონაწილეობისა და ამსრულებლობის გამიჯვნის მყარ კრიტერიუმებს იძლევა. კანონმდებელი ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ის პირი, რომელიც დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას თავად უშუალოდ, თანაამსრულებელთან ერთად ან ცოცხალი იარაღის მეშვეობით არ განახორციელებს, ამსრულებლად არ ჩაითვლება. ამ მუხლზე დაყრდნობით იმ პირის ქმედების ამსრულებლად დაკვალიფიცირება, ვინც ქმედების შემადგენლობა თავიდან ბოლომდე თავად განახორციელა, არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

განვიხილოთ მაგალითი, შემთხვევა: პეტრე მორგებული გასაღებით სხვის ბინაში შევიდა, ძვირფასი ნადავლი გამოიტანა და ნაქურდალი თავის სახლში დამალა. ამ მაგალითში პეტრემ ქმედების შემადგენლობა მარტომ, ყველა სხვა ადამიანის დახმარების გარეშე განახორციელა .იგი ერთპიროვნული ამსრულებელია.[19]

რამდენიმე პირის მიერ დანაშაულის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობას თანაამსრულებლობა ეწოდება. თანაამსრულებლობის დადგენა ადვილია მაშინ, როდესაც სისხლის სამართალის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას ყველა პირი ერთად ანხორციელებს.

1 შემთხვევა: პეტრემ და პავლემ ბინაში შესაღწევი გასაღები ერთად გააკეთეს, ბინაში შევიდნენ, ძვირფასეულობა გამოტანეს და სახლში წაიღეს. პეტრე და პავლე ამ მაგალითში ქმედების შემადგენლობის განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ. ისინი ქურდობის თანაამსრულებლები არიან. [20]

---

[19] ქ.მჭედლიშილს მოყვანილი აქვს მაგალითი წიგნში ,, სისხლის სამართლი''2011წ.გვ 141გვ.

2 შემთხვევა: პეტრე და პავლე ივანეს სცემენ . ისინი თანაამსრულებლები არიან და მათ გამოწვეული შედეგი ერთანირად შეერაცხებათ. კვალიფიკაციისათვის სსკ 22-ე მუხლის მე-2 ალტერნატივაზე (თანაამსრულებლობა) მითითება არაა საჭირო.[21] ქართული სისიხლის სამართალის ლიტერატურაში გვხვდება თანამონაწილეობის ფართო და ვიწრო გაგება. **თანამონაწილეობა ფართო გაგებით,** უშუალო ამსრულებელსაც თანამონაწილედ თვლის და აქედან გამომდინარე, თანაამსრულებლობაც თანამონაწილეობაა. **ვიწროდ გაგებული თანამონაწილეობა**, კი მხოლოდ ორგანიზატორის წამქეზებლის და დამხმარის დოგმატიკურ ფიგურებს მოიცავს. თანამონაწილეობის ვიწრო გაგებით, ამსრულებელი არაა თანამონაწილე. დღევანდელი ქართული სისიხლის სამართლის კოდექსი თანამონაწილეობის ვიწრო გაგებას იზიარებს.[22]

თანამონაწილეთა სახეები

ორგანიზატორი

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლი, დანაშაულში თანამონაწილეთა ერთ-ერთ სახეს - ორგანიზატორს განიხილავს შემდეგნაირად. ,,ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული

---

[20] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 141.

[21] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 141

[22] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი,,სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი II, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები''2011 წ. გვ 141

ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.''[23] ზოგჯერ ორგანიზატორი ამსრულებლის როლშიც შეიძლება მოგვევლინოს. ის ფინალურად ბატონობს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. ორგანიზატორი შეიძლება დაისაჯოს, როგორც წამქეზებელი ან დამხმარე. ორგანიზატორებს უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებენ. ბანდას, ჯგუფს აუცილებლად ჰყავს თავისი ორგანიზატორი 1958 წლმდე საბჭოური სისხლის სამართლის კოდექსები ორგანიზატორს, როგორც თანამონაწილის სახეს, ზოგად ნაწილში არ იხსენიებდნენ. არ იყო განსაზღვრული, როგორი კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს ორგანიზატორის მოქმედებას: დამხმარის, წამქეზებლის თუ ამსრულებლის. [24]

,,ორგანიზატორი განხილულ უნდა იქნეს როგორც დანაშაულის თავისებური ამსრულებელი. იგი ანხორციელებს დანაშაულის შემადგენლობას უშუალოდ სხვა ბრალეულთა ხელით. რომლებიც თავისი მხრით პასუხს უნდა აგებდნენ როგორც ფიზიკური ამსრულებელნი''.

,,ორგანიზატორის მოქმედება გამოიხატება თვით დანაშაულის ორგანიზაციაში, რაც დანაშაულის შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. [25]

ამიტომ დანაშაულის ორგანიზატორი, თუნდაც იგი დანაშაულის შემადგენლობაში შემავალ მოქმედებას ფაქტიურად პირადად არც კი იდენდეს, განხილულ უნდა იქნეს, არა როგორც თანამოანაწილე სისხლის სამართლის კოდექსის მე-25 მუხლის მიხედვით, არამედ როგორც დანაშაულის ამსრულებელი.

განვიხილოთ მაგალითი: დაზარალებული დობრიაკოვას მეზობელმა შექმნა ყაჩაღთა გუნდი, თუმცა მას ქურდობაში არ მიუღია მონაწილეობა, რადგან მას იცნობდა , მაგრამ ის დაისაჯა როგორც ამსრულებელი. ცხადია, რომ ის პირადად არ ასრულებდა

[23] საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლი.
[24] თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი.2007 წ,გვ 146 დან
[25] თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი.2007 წ,გვ147.

დანაშაულს და არ შეესაბამებოდა იმ თეორიას რომელიც ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ დანაშაული მოხდა მეზობლის უშუალო ნებით. ამიტომ მთავარია გავარკვიოთ თუ ვისი მეშვეობით ხდება დანაშაულის ჩადენა. ორგანიზატორი უნდა გამოიყოს როგორც ცალკეული პირი. [26]

ორგანიზატორი არის პირი, რომელიც მოაწყობს დანაშაულის ჩადენას ან ხელმძღვანელობს მის ჩადენას. ამ განსაზღვრების თანახმად , ორგანიზატორის საქმიანობა შეიძლება იყოს ორი სახის: ა) დანაშაულის ორგანიზაცია, რომელსაც არსებითად ადგილი აქვს დანაშაულის უშუალო შესრულებამდე და დანაშაულის ხელმძღვანელობა მისი ჩადენისას .[27]

მაგრამ ორგანიზატორი უნდა განიხილებოდეს როგორც: ,,ვინც ჰქმნის დანაშაულებრივ გაერთიანებას, ან ,,შაიკას" ან ხელმძღვანელობს მის საქმიანობას. აგრეთვე ის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ცალკეულ დანაშაულთა მომზადებას და ჩადენას''. [28]

როგორც ჩანს ორგანიზატორი არის ის პირი, ვინც დანაშაულის ჩადენას უშუალოდ ხელმძღვანელობს, თუმცა შეიძლება ეს აუცილებელი არ იყოს ორგანიზატორის საქმიანობისათვის. ორგანიზატორი შეიძლება არ ესწრებოდეს დანაშაულის ჩადენას, მაგრამ დანაშაული მისი ორგანიზაციული საქმიანობით მოხდეს. ორგანიზატორმა უნდა შეადგინოს და შეიმუშაოს დანაშაულის გეგმა, ჩართოს თანამონაწილენი , გადაანაწილოს შესასრულებელი სამუშაოები , მისცეს დავალებები და მითითებები. ის წარმართავს მთელ დანაშაულებრივ საქმიანობას. მისი ინიციატორი და სულის ჩამდგმელია. ორგანიზატორი შეიძლება ასევე უშუალოდ მონაწილეობდეს დანაშაულის ჩადენისას, თავზე ადგეს ამსრულებლებს და დანაშაულის ჩადენისას გასცემდეს განკარგულებებს.

---

[26] თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი.2007 წ,გვ148.
[27]ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხი-სისხლის სამართლი. 2011წ. გვ გვ 148
[28]თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი.2007 წ,გვ გვ გვ 150

ორგანიზატორის საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანია. მან შეიძლება განახორციელოს ისეთი მოქმედება, რომელსაც წამქეზებლები და დამხმარენი ასრულებენ. თუმცა კონკრეტულად რაიმეს დადგენა ორგანიზატორზე შეუძლებელია, ის შეიძლება დავადანაშაულოთ როგორც დამნაშავეთა ხელმძღვანელი, რომელიც აერთიანებს სხვა თანამოანაწილეებს. მის საქმიანობას სხვებს ვერ გავუტოლებთ. მისი პასუხისგებაში მიცემისათვის აუცილებელია იმ სუბიექტური და ობიექტური პირობების არსებობა, რომელიც საერთო თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს. ორგანიზატორის მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში უნდა იყოს დანაშაულის ჩადენასთან.

,,სწორია ის, რომ ორგანიზატორი შეიძლება არ იცნობდეს ორგანიზაციის ამა თუ იმ წევრს და არაფერი იცოდეს მისი საქმიანობის შესახებ. მაგრამ ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაშვებულ იქნეს ორგანიზატორის პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რომელიმე წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის, თუ ამ კონკრეტული დანაშაულის მიმართ ორგანიზატორს არა აქვს ფსიქიკური დამოკიდებულება. ორგანიზატორის პასუხისმგებლობა არ შეიძლება წარმოადგენდეს გამონაკლისს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპიდან და ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებულ წესს ემყარებოდეს ‘’ .[29]

მართალია ორგანიზატორი ქმნის დანაშაულის ჩადენის გეგმას, მაგრამ ეს გეგმა საბოლოოდ ყალიბდება დანაშაულის ადგილზე, რადგან შეიძლება ამსრულებელს მოუწიოს გვერდითი მოვლენების გამო გეგმიდან გადახვევა, ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე ორგანიზატორი აგებს პასუხს. მაგალითად : ,, ყაჩაღური თავდასხმის ორგანიზატორმა გადასცა უშუალო შემსრულებლებს დანაშაულის ჩასადენად იარაღი, თანაც უბრძანა ესარგებლათ ამ იარაღით უკიდურეს შემთხვევაში, თუ ეს საჭირო იქნებოდა და დაზარალებულისაგან თავდაცვისათვის.

[29]თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები ‘’ მე-2 ტომი.2007 წ,გვ წ. გვ 151.

ამავე დროს ორგანიზატორი ითვალისწინებდა, რომ ამსრულებელმა იარაღი შეიძლება გამოიყენოს არა მარტო თავდაცვისთვის, არამედ აგრეთვე ნივთის გატაცების გასაადვილებლად, როგორც მართებულად აღნიშნავს მ. კოვალიოვი, ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორმა პასუხი უნდა აგოს მისი დარიგების შეუსრულებლობის შემთხვევაში,, ყველას, ვისაც სურს რაიმე შედეგი სხვისი ხელით მიაღწიოს, კარგად ესმის, რომ ფიზიკურმა ამსრულებელმა შეიძლება ასეთი რამ გააკეთოს, რასაც თვით იგი არ გააკეთებდა, საკუთარი ხელით რომ ჩაედინა დანაშაული''.[30]

ორგანიზატორი შეიძლება მოქმედებდეს როგორც პირდაპირი, ისე ევენტუალური განზრახვით. თუ ვინმემ დაიქირავა მეორე პირი კაცის მოსაკლავად, იგი იმასაც ითვალისწინებს და უშვებს, რომ დაქირავებულმა მკვლელმა შეიძლება დაზარალებული გაძარცვოს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზატორი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით მკველელობის მიმართ და ევენტუალური განზრახვით გაძარცვის მიმართ, ცხადია უშუალოდ იმ დანაშაულის მიმართ, რომელსაც აწყობს, რომლის გეგმასაც ადგენს ორგანიზატორი, მას ყოველთვის პირდაპირი განზრახვა ექნება.[31]

თანამონაწილეთა შორის ორგანიზატორი ძალიან საშიში ფიგურაა, მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ არ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში. ის ხომ მთელი დანაშაულის სულის ჩამდგმელია, თუმცა ხშირად გარეგნულად მხოლოდ მცირე როლს ასრულებს და მართლმსაჯულებისათვის გამოუცნობი რჩება, იმიტომ რომ დანაშაულის მონაწილეები დაკითხვისას ცდილობენ დამალონ ორგანიზატორის სახელი, რადგან მისი ეშინიათ. იგი აკავშირებს დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს, გეგმავს დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენას, მოანაწილეობას იღებს

[30]მ. კოვალიოვის ციტატა მოტანილია თ.წერეთლის წიგნიდან; ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი, 2007 წ,გვ 152.

[31]თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი.2007 წ, გვ 152.

ცალკეული დანაშაულის გეგმის შედგენაში, ანაწილებს როლებს ორგანიზაციის წევრთა შორის, ანაწილებს ნადავლს დამნაშავეთა შორის , თვითონ კი უფრო ხშირად ჩრდილში რჩება და მოხერხებულად უძვრება ხელიდან მართმსაჯულებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ორგანიზატორი პროფესიულ დამნაშავეს წარმოადგენს. ამიტომ დანაშაულის ორგანიზატორის გამოვლინება და მისთვის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა მეტად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ამოცანაა .[32]

როგორ უნდა მოხდეს ორგანიზატორის მოქმედების კვალიფიკაცია?

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლი ითვალისწინებს დანაშაულში მონაწილეობის დასჯას. მ . კოვალიოვის აზრით, ამ შემთხვევაშიც ორგანიზატორის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულის ასრულება. თავის აზრს მ.კოვალიოვი იმით ასაბუთებს, რომ ორგანიზატორის საქმიანობა უახლოვდება შუალობითი ამსრულებლის საქმიანობას. ,, შუალობითი ამსრულებლის მსგავსად ორგანიზატორი სჩადის დანაშაულს, იყენებს დანაშაულის იარაღად სხვა პირთა ქმედობას, იმ განსხვავებით მხოლოდ რომ, ეს მისი მორჩილი პირები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით ორგანიზატორთან ერთად, მაშინ როდესაც წმინდა შუალობითი ამსრულებლობის დროს სისხლის სამართლის წესით ჩვეულებრივად აგებს პასუხს მხოლოდ შუალობითი ამსრულებლი. ადგილი აქვს თავისებურ გადასვლას რაოდენობიდან ხარისხში. სუბიექტის დანაშაულებრივი აქტიურობა გადაიზრდება ახალ ხარისხში, დანაშაულის ასრულების მოქმედებაში''. [33]

შუალობით ამსრულებელთან ორგანიზატორის გათანაბრება იმ მხრივაც არ არის სასურველი, რომ ამით სათანადოდ არ ფასდება უშუალო შემსრულებლის როლი. ვერ დავეთანხმიებით მ. კოვალიოვს იმაში, რომ შემსრულებელი ამგვარად

[32]თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი.2007 წ,გვ გვ 153.

[33]М. Ковалев, Соучастие в преступлении, часть вторая, Свердловск, 1962, с. 132. მოტანილია თ. წერეთლის წიგნიდან: ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი,გვ.154

გადაიქცევა თითქოს იარაღად, რომელსაც მეორე პირი გამოიყენებს, რის გამოც ეს პირი დანაშაულის მთავარ ამსრულებლად ხდება''.[34] წინააღმდეგ შუალობით ამსრულებლობისა, როდესაც დანაშაულის ფიზიკური საქმიანობა სულაც არ გადააქცევს დანაშაულის პასუხისმგებელ შემსრულებლებს ასეთ ბრმა იარაღად და არც გამოდგება საფუძვლად მათი პასუხიმგებლობის შემცირებისთვის. ამასთან ერთად , ჩვენ , რა თქმა უნდა არ გვავიწყდება რომ ,, თვითონ ორგანიზატორები უაღრესად მკაცრი დაგმობის ღირსნი არიან'' .

სასამართლო პრაქტიკა აკვალიფიცირებს ორგანიზატორის მოქმედებას არა უშუალოდ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით, არამედ ზოგადი ნაწილიდან თანამონაწილეობის მუხლის მოშველიებით''.[35]

წამქეზებელი

თანამონაწილეთა შორის მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა წამქეზებელი, რომელიც სხვა პირს აღუძრავს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. ის დაიყოლიებს სხვა პირს დანაშაულის ჩადენზე.

ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებლობა არ გამოარჩევდა წამქეზებელს ამსრულებლისგან და ყოფდნენ ორ კატეგორიად: მატერიალურ თანაამსრულებლად და მორალურ თანაამსრულებლად.

წამქეზებელი უშუალოდ აიძულებს ან აგულიანებს სხვას ჩაიდინოს დანაშაული.

თუმცა დღეს ასეთი შეხედულება უარყოფილია ახალი სისხლის სამართლის კოდექსების მიერ. ამსრულებელი არის პირი, ვინც უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში. წამქეზებელი კი დანაშაულის მონაწილე ხდება არა იმით, რომ მან უშუალოდ მიიღო მონაწილეობა დანაშაულის განხორციელებაში, არამედ მან

[34] მ.კოვალიოვი, დასახ.ნაშრ, გვ 132. მოტანილია თ.წერეთელის წიგნიდან: ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი. გვ. 155.

[35]თ.წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები '' მე-2 ტომი.2007 წ,გვ 155.

აღუძრა სხვას სურვილი დანაშაულის ჩადენის, მან განახორციელა თავისი ჩანაფიქრი. ამიტომ მისი ბრალი დანაშაულის მომენტში სხვა ხასიათის არის.

წამქეზებლის ზემოქმედება ხდება ამსრულებლის ცნობიერებაში და მისი მოქმედების მოტივი ხდება.[36]

განსხვავება უშუალო ამსრულებლისა და წამქეზებელს შორის არის ის რომ , ამსრულებელი თავისი ხელით ასრულებს დანაშაულს, ხოლო წამქეზებელი სხვა ადამიანის მეშვეობით, ის აქეზებს ამსრულებელს და მოუწოდებს მას დანაშაულის ჩადენისაკენ. ხოლო ამსრულებელიც შეგულიანებულია და შეგნებულად სჩადის დანაშაულს. წამქეზებლისთვის ამსრულებელი არის ,, ბრმა იარაღი'' საკუთარი მიზნის მისაღწევად. ამიტომ ითვლება თვითონ ამსრულებლად და ეკისრება დიდი პასუხიმგებლობა.

რაში გამოიხატება წაქეზების დანაშაული?

წაქეზებისას ადამიანში აღიძვრება დანაშაულის ჩადენის სურვილი, ის იღებს გადაწყვეტილებას სხვა პირის ზეგავლენით, ჩაიდინოს დანაშაული. ეს ზემოქმედება შეიძლება სხვადასხვა ინტენსივობით ხდებოდეს. მაგალითად: სუბიექტი იქნება დანაშაულის ინიციატორი, შეიძლება ჩაუნერგოს დანაშაულის ჩადენის იდეა სხვა პირს, რომელსაც ამ ფსიქიკურ ზემოქმედებამდე სულაც არ უფიქრია დანაშაულის ჩადენაზე.

შეიძლება აღუძრას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება პირს, რომელსაც ჰქონდა ამის განზრახვა, მაგრამ შემდეგ უარყო იგი. მან შეიძლება განამტკიცოს ამსრულებელში დანაშაულის ჩადენის განზრახვა, რომელიც მისგან დამოუკიდებლად დაებადა ამსრულებელს. იბადება კითხვა: ყველა ამ შემთხვევაში წაქეზებასთან გვექნება საქმე, თუ ფსიქიკური ზემოქმედების ზოგიერთი ფორმა ინტელექტუალურ დახმარებად უნდა ჩაითვალოს? და თუ საჭიროა წამქეზებლისა და ფსიქიკური დახმარების განსხვავება, რაში უნდა ვეძებოთ ეს გამასხვავებელი ნიშანი?

[36] თინათინ წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები'' მე-2 ტომი.2007 წ. გვ 156-159.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით არ შეილება ფსიქიკური ზემოქმედების ყველა ფორმა ჩავთვალოთ წაქეზებად.

განსხვავება, წაქეზებასა და ინტელექტუალურ დახმარებას შორის, გერმანიის პოზიტიური სამართალის მიხედვით, უნდა ჩამოყალიბდეს ამგვარად: წაქეზება არის ზემოქმედება სხვის ნებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო ინტელექტუალური დახმარება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

ამ შეხედულებების თანახმად, გამოდის რომ ყველა ზემოქმედება უნდა ჩაითვალოს ფსიქიკურ დახმარებად დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ვინც შექმნა ყველაზე გადამწყვეტი პირობა, რომ ჩაედინათ დანაშაული და ყოფილიყო ამსრულებელი.[37]

რა საშუალებებით შეიძლება წააქეზო ამსრულებელი? ეს შეიძლება იყოს დაპირება, მუქარა, ზეგავლენა, ავტორიტეტის გამოყენება და სხვ.

არ უნდა დავივიწყოთ ის რომ წაქეზება თანამონაწილეობის დროს არის წინასწარ განზრახული.

რა შემთხვევაში არ არის წაქეზება დანაშაული?

თინათინ წერეთელი გვეუბნება რომ ,, წაქეზება არ გვექნება იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმე საერთოდ ამორალურ ზემოქმედებას ახდენს სხვა პირზე, მაგალითად, უნერგავს არასრულწლოვანს მიდრეკილებას მუქთახორა ცხოვრებისაკენ, აჩვევს მას მათხოვრობას, პროსტიტუციას და სხვ, რის შედეგადაც არასრულწლოვანი დაადგება დანაშაულის გზას. ასეთმა პირმა შეიძლება პასუხი აგოს არა როგორც იმ დანაშაულის წამქეზებელმა, რომელიც მისი განზრახვის გარეშე არასრულწლოვანმა ჩაიდინა, არამედ გასაკუთრებული დანაშაულისათვის, რომელიც ისჯება კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად. არასრულწლოვანის დაყოლიება პროსტიტუციის, მათხოვრობის ან სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებს ჩადენისათვის ისჯება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.

[37] თინათინ წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები'' მე-2 ტომი.2007 წ. გვ 156-173.

წაქეზება გულისხმობს, რომ ვინმე აღუძრავს განსაზღვრულ პირს ან პირებს განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას.[38]

მაშასადამე, წამქეზებლობა აუცილებლად გულისხმობს განსაზღვრულ ადრესატს. ეს რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ წამქეზებელი პირადად უნდა იცნობდეს წაქეზებულს ან მისი წაქეზება უთუოდ მიმართული უნდა იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული პიროვნების მიმართ. საკმარისია, თუ წამქეზებელი მიმართავს განსაზღვრულ პირს ან პირებს, თუნდაც ზუსტად ინდივიდუალურად ისინი განსაზღვრული არც იყვნენ. მაგრამ, თუ წამქეზებელს თავისი ადრესატები სრულიად არა ჰყავს შემოფარგლული, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამოუკიდებელ დანაშაულს და არა წაქეზებას''.[39]

დამხმარე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად ,,დამხამრეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულსი ჩადენას''.[40] ეს არის ზოგადი განმარტება. ეხლა კი უფრო ვრცლად განვიხილოთ დამხმარის ფუნქცია, მისი მოვალეობები და რა სამართლებრივი სანქციები ეხება მას.

დამხმარის ცნებას ანალოგიურად განიხილავს სხვა ქვეყნებიც (მაგ :საფრანგეთი, გერმანია, იტალია.) ამ კონკრეტულ შემთხვევაში განვიხილოთ საქართველოს მაგალითი, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროიდან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წ) მე-19 მუხლში აღნიშნული იყო რომ ,,დამხმრედ ჩაითვლება პირი, ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგებით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა თავიდან აცილებით, აგრეთვე პირი, ვინც წინასაწარ დაჰპირდა, რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის

[38] თინათინ წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები'' მე-2 ტომი.2007 წ გვ 156-173.
[39] თინათინ წერეთელი ,,სისხლის სამართლის პრობლემები'' მე-2 ტომი.2007 წ.გვ 156-173.
[40] საქართველოს სსკ-ის 24-ე მუხლი.

იარაღებს და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ საგნებს“. ეს დებულება იძლევა დანაშაულის ხელშეწყობის დეტალურ და ამომწურავ ჩამონათვალს, აგრეთვე ადვილი შესამჩნევია, რომ ისტორიულ წარსულში 5 ფორმით იყო შესაძლებელი დანაშაულის ხელშეწყობის გამოვლინება. 1) რჩევა-დარიგება . 2) საშუალებათა მიწოდება. 3) მითითება. 4) დაბრკოლებათა აცილება. 5) დანაშაულის წინასწარ შეპირებული დაფარვა.[41] მეხუთე პუნქტი შეიძლება გავმიჯნოთ სამ ქვეპუნქტად : ა) დამნაშავის ბ) დანაშაულის კვალის ან დანაშაულის შედეგად ნაშოვნი საგნების წინასწარ შეპირებული და გ) დანაშაულის ჩადენისთვის განკუთვნილი იარაღების და საშუალებების დაფარვა.

ასეთი გამარტივების შემდეგ ნათლად წარმოვიდგენთ, თუ როგორი მნიშვნელოვანია დამხმარის ქცევა დანაშაულის ჩადენის დროს. ეს მისი სახეებია და არ უნდა გამოვრიცხოთ არცერთი პუნქტი. მეტიც, შეიძლება კიდევ სხვა ხერხითაც გამომჟღავნდეს დამხმარის ქმედება, რადგან დანაშაულის ხელშეწყობის ფაქტები შეიძლება იყოს ამოუწურავი. აღნიშნულ საკითხზე საკმაოდ ბევრს კამათობდნენ იურიდულ ლიტერატურაში და შემოგვთავაზეს გარკვეული კანონზომიერებები დამხმარის ცნების შესახებ. ასეთი ავტორები შეგვიძლია დავყოს 3 კატეგორიად. განვიხილით ისინი:

პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ ისინი, ვინც თვლის, რომ დამხმარეს აქვს ამოუწურავი ხელშეწყობის მექანიზმები . სსკ -ში აღნიშნული ,,სხვა საშუალებით“ თავად გვიჩვენებს, რომ დახმარების ფაქტები ამოუწურავია.

მეორე ჯგუფში არიან ისინი, ვინც თვლიან, რომ საკანონმდებლო განსაზღვრება ამოწურავ ჩამონათვალს უნდა მოიცავდეს და შესაბამისად სისხლის სამართლებრივი ქმედებაც ამგვარად განხორციელდება.

[41] ადამ მახარაძე ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის'' 2006წ. გვ 120-122.

მესამე ჯგუფი მივაკუთვნოთ იმ ავტორებს, რომლების საერთოდ უარყოფითად აფასებენ დამხმარის საკანონმდებლო განმარტებას და ცდილობენ დახმარების ყველა შესაძლო ვარიანტი დაადგინონ. [42]

თუმცა ფაქტია რომ დანაშაულის ჩადენის დროს დამხმარის ხელისშეწყობა შეიძლება იყოს არაამომწურავი. რადგან დანაშაულებრივი ქმედება როგორც დამხმარის ასევე წამქეზებლის და ორგანიზატორის მსგავსად მოიცავს ფართო წრეს.

როგორც უკვე ვთქვით ,, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას". აქ ჩამოთვლილია დამხმარის ამომწურავი ქმედებები, რაც საკმაოდ კარგია იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ რა სახის ქმედებები განახორციელა დამხმარემ. თუმცა ამდენი შესწავლის და დაკვირვების შემდეგ შეიძლება მაინც გამოგვრჩეს რამდენიმე ხერხი, რაც ძალიან ცუდია იმიტომ, რომ თუ გარკვეული ქმედება ხორციელდება და ის არ შედის კანონში, ფაქტიურად სისხლისამართლევრივი რეგულირების გარეთ გვრჩება და დამხმარეც ადვილად დაუძვრება მართმსაჯულებას. მიუხედავად ამისა, ამ ხერხების ამომწურავმა საკანონმდებლო განმარტებამ პრაქტიკული გამოყენებისას შეიძლება ჰპოვოს სულ სხვანაირი. ამგვარად შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ იმ საკანონმდებლო განმარტებას, რომელიც დღეს გვაქვს .

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამხმარე ამსრულებელს ეხმარება დანაშაულის ჩადენაში, დახმარება შეიძლება იყოს ფიზიკური ან ფსიქიკური ანუ ინტელექტუალური ფორმით.

ფიზიკური დახმარება შეიძლება გამოვლინდეს ორი ფორმით.

1- ამსრულებლისთვის საშუალების მიცემა.

2-დახმარების მიზნით დაბრკოლების თავიდან აცილება.

საშუალების მიცემა გავნივიხილოთ როგორც ბინის, იარაღის, სატრანსპორტო საშუალების, ყალბი დოკუმენტების, საწამლავის და ა.შ საქონლით და ნივთებით დახმარება, მათი სრულად ჩამოთვლა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

[42] ადამ მახარაძე ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის'' 2006წ. გვ 123-128.

დაბრკოლების თავიდან აცილება მოწმის ან სხვა ხელისშემშლელი ფაქტორის მოცილება, რათა დანაშაულის ჩადენის შემდეგ არ იყოს რაიმე პრობლემა.

სასამართლო პრაქტიკაში სტატისტიკურად იშვიათად ვხვდებით ისეთ შემთხვევას, სადაც ამრულებლისადმი ხელშეწყობა ხორციელდება დანაშაულის საშუალების უზრუნველლყოფით, ასევე დაბრკოლების თავიდან აცილებით.[43]

წინასწარ განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის ადგილზე მსხვერპლის მოტყუება შეძლება ჩაითვალოს ფიზიკური დახმარების დამოუკიდებელ სახედ, მაგრამ ასეთი სახის დახმარებისგან განსხვავდება ინტელექტუალური დახმარება.

ეს არის გარკვეული სახის ფსიქიკური ხელშეწყობა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ამსრულებლის შეგნებასა და ნებაზე. ამის შემდეგ დასახული მიზნები იოლი განსახორციელებელი ხდება და ამით უფრო მყარდება სურვილი დანაშაულის ჩადენისა.

გამოვყობთ რჩევა-დარიგებას და მითითებას. ამ შემთხვევაში მუშავდება დანაშაულის ჩადენის მოქმედება სად უფრო მარტივი და უსაფრთხოა.

ფსიქიკური დახმარების ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის მიწოდება .

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით რჩევა დარიგებებით, მითითებით ან ინფრმაციის მიწოდებით ჩადენილ დანაშაულის გამოხატულებებს.

სისხლის სამართლის თეორიაში ინტელექტუალური დახმარების სახეებია:1-ამსრულებლის დარწმუნება, 2- გამხნევება და 3-დანაშაულის მოწონება.

დანაშაულში ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე უმოქმედობით, მაგალითად განვიხილოთ ასეთ მაგალითზე, რა არის უმოქმედობა, თუ პირი მუშაობს ან დაკავებული აქვს ისეთი თანამდებობა, რომლის მიხედვითაც წინ უნდა აღუდგეს

[43] ადამ მახარაძე ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის'' 2006წ. გვ 128-135.

დანაშაულის ჩადენას და ის არ ასრულებს თავის მოვალეობას ამიტომ უნდა დავსაჯოთ, როგორც დანაშაულში უმოქმედობით აღმოჩენილი ხელშეწყობისთვის.

,,თამანონაწილეობის ცნების ზოგადი თვალსაზრისით, დამხმარედ არ შეიძლება ვცნოთ ის, რომლის ქმედებაც მიზეზობრივ კავშირში არ არის ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან“ [44]

განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, რას ნიშნავს წინასწარ მიცემული შეპირება, დანაშაულის განუცხადებლობის ან მიმნებლობის შესახებ და წარმოადგენს თუ არა დახმარებას დანაშაულის ჩადენის დროს. დანაშაულის ჩადენის წინასწარ შეპირებული დაფარვა ძალიან კარგად მოქმედებს ამსრულებლის ფსიქიკაზე, ის ამის შემდეგ უფრო თავდაჯერებული ხდება, მის ფიქრებში აადვილებს მისი დაკავების და პასუხიმგებლობისგან დაძვრენის მეთოდს. ამიტომ გამოდის, რომ ამგვარი ქმედება მოტივს აძლევს ამსრულებელს და უწევს ინტელექტუალურ დახხმარებას, რაც იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ მიუთითა და გაუჩინა სურვილი ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის. ანუ პირდაპირ არის დაკავშირებული დანაშაულის ჩადენის განმტკიცებაში, მაგრამ ეს ყველაფერი გავლენას არ ახდენს დამხმარის იურიდულ კვალიფიკაციაზე.

ახლა განვიხილოთ ის ფაქტი, როდესაც პირი წინასწარი დაპირების გარეშე ფარავს დანაშაულს. ის საერთოდ არ არის კავშირში დანაშაულის ჩადენისგან გამოწვეულ შედეგებთან და არ განიხილება როგორც თანამონაწილოება. მაგრამ პრობლემაც სწორად იმაშია, რომ კანონით ერთნაირად განიხილება, თუმცა უნდა განვმიჯნოთ ერმანეთისგან დაფარვა, როგორც თანამონაწილეობა და დაფარვა როგორც შემხებლობა.[45]

---

[44] ადამ მახარაძე ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის'' 2006წ.გვ 135.

[45] ადამ მახარაძე ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის'' 2006წ.გვ 136-197.

ყველაზე პრობლემური საკითხი, რაც კი განიხილება დამხარესთან მიმართებაში, არის ის, რომ განვაცალკევოთ ის სხვა თანამონაწილეებისგან, კერძოდ ფიზიკური დამხმარე გავმიჯნოთ ამსრულებლისგან და ფსიქიკური დამხმარე -წამქეზებლისგან.

1- გავიხსენოთ რომ დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, ეს პირდაპირ მიგვანიშნებს იმაზე რომ უნდა გამოვყოთ დამხმარე უშუალოდ ამსრულებლისაგან , დამხმარემ კი არ ჩაიდინა დანაშაული, არამედ დაეხმარა ან ხელი შეუწყო, ხოლო უშუალოდ ამსრულებელმა ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება.
2- მეორე საკითხი, ფსიქიკური დამხმარის გამოყოფა წამქეზებლისგან ცოტა რთულია, რადგან აქ ეს ორი ერთმანეთს ძალიან გავს. ორივე მათგანი გავლენას ახდენს ამსრულებლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ინტელექტუალური დამხმარე ისევე, როგორც წამქეზებელი ხშირად იყენებს რჩევა-დარიგებებს, მითითებით.
3- ამიტომ ამ ორის ერთმანეთისგან გამიჯვნა ცოტა ძნელია, თუმცა აუცილებელი.უნდა განვიხილოთ ფაქტი რომ წამქეზებელი უფრო ხშირად იყენებს ფსიქიკურ ზემოქმედებას და არწმუნებს დანაშაულის ჩადენაში პიროვნებას, ვიდრე დამხმარე. ანუ ამგვარი მოქმედების ინტენსივობა არის მთავარი, დამხმარე მაშინ ჩნდება, როდესაც დანაშაული მომწიფებულია, ხოლო წამქეზებელი ინიციატორია.[46]

შევეცადე მოკლედ წარმომედგინა დამხმარის ფუნქცია დანაშაულში თანამონაწილოების დროს. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ეს ფიგურა უფრო ვრცლად განვიხილოთ უამრავი მაგალითის და გარემოების ფონზე, თუმცა ვფიქრობ საკმაოდ ნათლად გადმოვეცი მისი ფუნქცია. შეჯამების სახით რომ ვთქვათ, ,,თანამონაწილედ უნდა ვცნოთ ის პირი (დამხმარე), რომელიც ამსრულებელს მისი ცოდნისა და

[46] ადამ მახარაძე ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის'' 2006წ.გვ 136-197.

თანხმობის გარეშე აწვდის საშუალებას, ან კიდევ აცილებს დაბრკოლებას. თანამონაწილეობისათვის საკმარისია დამხმარემ იცოდეს, რომ ის ამსრულებელს ხელს უწყობს კონკრეტული უსამართლობის განხორციელებაში. ამასთან, იგი იმავე მიზანს უნდა ისახავდეს, რომელსაც დანაშაულის ამსრულებელი".

აღნიშნულ თემას ამომწურავად, რომ გაეცეს პასუხი ჩემს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს დამხმარის როლის გამიჯვნას თანაამსრულებელთან მაშინ როდესაც სახეზე გვაქვს დანაშაიულის ჩადენის დროს დარაჯად ყოფნა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი სხვადასხვა თეორიების მიხედვით იყოფა ორ აზრად. ერთი მხარე ფიქრობს, რომ დანაშაულის დროს დარაჯად ყოფნა არის დანაშაულში დახმარება ანუ დამხმარეს როლად ხოლო მეორე მხარის მოსაზრებით არი თანამონაწილე. აღნიშნული საკითხის უკეთესად გააზრების და გარკვევის მიზნით ჩემს მიერ ჩატარებული იქნა კვლევა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის, ქ. თბილისის მთავარ პროკურატურაში და შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციაში, რა დროსაც ჩემს მიერ გამოკითხული იქნა ხუთი პროკურორი და ხუთი გამომძიებელი შემდეგი კითხვით: დანაშაულს ჩადენის დროს დარაჯად ყოფნა, თუ როგორ უნდა დაგვეკვალიფიციერებინა. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ პროკურორების და გამომძიებლების უმრავლესობა ემხრობა იმ აზრს, რომ დანაშაულის ჩადენის დროს დარაჯად ყოფნა არის თანაამსრულებელი იმ მიზეზით, რომ სახეზე არის ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული და ჯგუფის წევრებს აღნიშნულ შემთხვევაში აქვთ როლები განაწილებული, ხოლო ზოგიერთი გამომძიებელი და პროკურორი მიიჩნევს, რომ არის დამხმარე ვინაიდან დარაჯად მყოფი პიროვნება უშუალოდ არ იღებს დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას. აღნიშნული კვლევის ილუსტრირებული სახე იხილეთ (**N 1 დანართად**)

თავი III თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სპეციალური საკითხები

3.1. ამსრულებლის და თანამონაწილის პასუხისმგებლობა

ამსრულებლის და თანამონაწილის პასუხისმგებლობა მათ მიერ ჩადენილი ქმედების მიხედვით განისაზღვრება. თუ ამსრულებლის ქმედება მხოლოდ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეჩერდა და მან ვერ მოასწრო დანაშაულის ჩადენა, მაშინ თანამონაწილესაც პასუხისმგებლობა მხოლოდ დანაშაულის მომზადებისთვის დაეკისრება. ეს იმიტომ, რომ თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა და თანამონაწილის პასუხისმგებლობა ამსრულებლის პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული.[47]

,,სისხლის სამართლის პასუხიმგებლობის შემასუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს შეიძლება ჰქონდეს როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ანუ პერსონალური ხასიათი. სსკ 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ქმედების მაკვალიფიცირებელი ობიექტური ნიშანი შეერაცხებათ არა მხოლოდ იმ პირს, რომელიც ამ განსაკუთრებული ნიშნის მქონე მართლსაწინააღმდეგო ქმედებას თავად ასრულებს ან ამგვარ ქმედებაში თავად მონაწილეობს, არამედ იმ ამსრულებელსა და თანამონაწილესაც, რომლის მხარეზეც ეს ნიშანი , მართალია , არ არსებობდა, მაგრამ მას ეს ნიშანი შეცნობილი ჰქონდა. მაგ. დამამძიმებელი გარემოება, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა, შეერაცხება არა მხოლოდ ამსრულებელს, არამედ დამხმარესაც, თუ მას ეს დამამძიმებელი გარემოება შეცნობილი ჰქონდა.[48]დამხმარის მოქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის

[47] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, გვ. 285

[48] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი ,,სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები ''2011წ.გვ 249.

,,ბ'' პუნქტით. ისეთი ნიშანი, რომელიც უმართლობას არ აფუძნებს და მხოლოდ პერსონალური ხასიათი აქვს, შეერაცხება მხოლოდ იმას, ვისაც ვისაც იგი ახასიათებს.[49]

განვიხილოთ მაგალითი: ,, დედა მშობიარობისას ან მალევე მშობიარობის შემდეგ კლავს ახალშობილს. იგი მკვლელობის პრივილეგიურ შემადგენლობას ახორციელებს, ჩვილის მამა, რომელიც მშობიარეს დაეხმარება, დაისჯება არა დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობაში დახმარებისთვის, არამედ სსკ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ'' პუნქტით(დახმარება ჩადენილი განზრახი მკვლელობისათვის)''.[50]

ამ შემთხვევაში ყველა თანამონაწილე ისჯება შემდეგი კატეგორიით, ბრალეულად განხორციებული მკვლელობის უსამართლობისათვის.

დანაშაულის რამდენჯერმე განზრახ ჩადენას უკვე დამამძიმებელ გარემოებამდე მივყავართ, ის მხოლოდ იმ პიროვნებას შეეხება, ვინ უშუალოდ ამსრულებელია და არა თანამონაწილეებს. ქართული სისხლის სამართალში ანგარებას პერსონალური ხასიათი აქვს და მას შეერაცხება, ვისაც უშუალოდ ეს მოტივი ამოძრავებდა.

ხოლო პირი, რომელიც ანგარების მოტივით ეხმარება მკვლელს დანაშულის ჩადენაში ამსრულებელს არ შეერაცხება ანგარების მოტივით ჩადენილი დანაშაული.[51]

დამხმარის პასუხისმგებლობა

[49]ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი, ,,სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები ''2011წ.გვ 247-248; ო. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ, გვ.284.

[50] ანალოგიური მაგალითი, რომელსაც გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში ჰქონდა ადგილი, მოჰყავს ოთარ გამყრელიძეს. წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. (რედ. ო. გამყრელიძე), თბილისი, 2002, გვ. 72.

[51] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი ,,სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები ''2011წ.გვ 248.

სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მიხედვით დამხმარის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ისე, როგორროც ერთ-ერთი თანამონაწილისა.

ამ მუხლის თანახმად, ამსრულებელს და თანამონაწილეებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისთვის, თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით. იურიდიულად ამ მუხლის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ თანამონაწილეებიც და ამსრულებელიც პასუხს აგებენ ერთი საერთო უმართლობისათვის.[52] თუ ამსრულებელი ვერ მიყვანს დანაშაულს ბოლომდე, მაშინ თანამაწილემაც უნდა აგოს პასუხი დანაშაულის მცდელობისათვის. ჩამოვყალიბდეთ, რომ დამხმარემ პასუხი უნდა აგოს საკუთარი ბრალის ფარგლებში, მის მიერ შესრულებული როლის შესაბამისად, უშედეგო დახმარების გამო არ უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, მას არ მოეხსნას ბრალი, თუ კი ამსრულებელი გათავისუფლდა კანონისგან, ან თავისი ნებით უარი თქვა დანაშაულის ჩადენაზე.[53.]

ამსრულებლის ექსცესი

შემთხვევა: პეტრე და პავლე ქურდობის მიზნით ივანეს ბინაში შეიჭრებიან. მათ მხოლოდ ბინის ქურდობა აქვთ გადაწყვეტილი. პეტრე გეგმას გადაუხვევს მძინარე ივანეს დაარტყამს და მას მძიმედ დააზიანებს. ამ შემთხვევაში პავლე პასუხს
მხოლოდ ბინის ქურდობისათვის აგებს. პეტრეს მიერ განხორციელებული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მას არ შეერაცხება.[54]

---

[52] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, გვ. 282.

[53] ადამ მახარაძე ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის'' 2006წ.გვ 198-203

[54] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი ,,სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები ''2011წ.გვ 249

პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა როგორც თანაამსრულებელი, რომელიც მოიცავს სხვა თანამონაწილის და თანაამსრულებლის განზრახვა. სისხლის სამართლის თეორიაში არსებობს რაოდენობრივი და თვისობრივი ექსცესები.

რომლებიც შემდეგნაირად განიმარტება: რაოდენობრივი - თანამონაწილეთა განზრახვა მსუბუქ დანაშაულს მოიცავს, ამსრულებლი კი უფრო მძიმე დანაშაულს სჩადის. მაგ: განზრახული იყო სხეულის მსუბუქი დაზიანება და ამსრულებელმა კი სხეულის განზრახ მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

ხოლო თვისობრივია, როდესაც ამსრულებელი ჩაიდენს ისეთ დანაშაულს, რომელსაც წინასწარ განზრახვა არ მოიცავდა. მაგალითად: ამსრულებლის მიერ ქურდობის მაგიერ მკვლელობის ჩადენა.[55]

3.1.1. ჯგუფური დანაშაული

ჯგუფური დანაშაულის მუხლები ერთმანეთისაგან განარჩევენ ჯგუფური დანაშაულის ჩადენას წინასწარი შეთანხმების გარეშე, დანაშულის ჩადენას წინასწარი დაგეგმვის და შეთანხმებით და დანაშაულის ჩადენას ორგანიზებულად, ჯგუფის მიერ შეთანხმებით.[56]

შეიძლება დანაშული მოხდეს წინასწარი შეთანხმების გარეშე. იმისათვის რომ დანაშაულს ჯგუფური ეწოდოს, მინიმუმ ორი ამსრულებელი უნდა სჩადიოდეს უკანონობას.[57] გამყრელიძის და ნაჭყებიას აზრით, შესაძლებელია, რომ ჯგუფის მხოლოდ ერთი წევრი იყოს ამსრულებელი, დანარჩენები კი ვიწრო გაგებით თანამონაწილეები (ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე) იყვნენ და

[55] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი ,,სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები ''2011წ.გვ 250

[56] თ. ებრალიძე, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის. წიგნში: სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები, თბილისი, 2006, გვ.131.

[57] ამ საკითხზე იხ. თ. ებრალიძე, დასახ. ნაშრ, გვ. 132-134.

შესაძლებელია, რომ წინასწარი შეთანხმებით მოქმედ პირთა ჯგუფი თანაამსრულებლებისგანაც შედგებოდეს.[58]

ტურავას მართებული მოსაზრებით, ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენა თანაამსრულებლობას გულისხმობს. მისი არგუმენტებით: ,,სამართლებრივი სიკეთისათვის შექმნილი საფრთხე გაცილებით უფრო დიდია, როდესაც ქმედების შემადგენლობას უშუალოდ რამდენიმე პირი ასრულებს. ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშულის ჩადენაში თანამონაწილეობა რომ იგულისხმებოდეს, ამაზე კანონმდებელი თავადვე მიუთითებდა (დანაშაულის ჩადენა თანამონაწილეთა მიერ) და მას ახალი ცნების შემოტანა (ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმება) არ დასჭირდებოდა.

ტურავას მაგალითი ამ მოსაზრების სადემონსტრაციოდ: გაუპატირუება, როდესაც ერთი პირი წამქეზებელია მხოლოდ, მეორე დამხმარე და მესამე ამსრულებელი, კვალიფიცირდებება მხოლოდ თანამონაწილეობად და არა ჯგუფურად ჩადენილ გაუპატიურებად, რადგან არაა თანაამსრულებლობა ‘’.[59]

ორგანიზებული ჯგუფი არის დროის განსაზღვრულ პერიოდში, ერთმანეთთან შეთანხმებული, ერთი ან რამდენიმე დანაშულის ჩასადენად მომზადებული პირთა ჯგუფი. ის სიმყარით არ გამოირჩევა, რადგან შეიძლება ერთი დანაშაულის ჩადენის შემდეგ ეს ორგანიზებული ჯგუფი დაიშალოს. მისი ორგანიზატორი პასუხს აგებს ყველა იმ დანაშაულისათვის რომელსაც მოიცავდა მისი განზრახვა, წევრები კი მხოლოდ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულზე. თუ ჯგუფის წევრმა ის ჩაიდინა ჯგუფთან ერთად და მან ამის შესახებ წინასწარ არ იცოდა, ის მაინც აგებს პასუხს ამ დანაშაულისათავის, მაგრამ მას არ დაუმძიმდება პასუხისმგებლბა ჯგუფთან ერთად ჩადენისათვის. იმისათვის რომ ჯგუფს ვუწოდოთ ორგანიზებულად შექმნილი ჯგუფი, ის წინასწარ უნდა იყოს

[58]გამყრელიძე, განმარტება, გვ.209.ნაჭყეპია, ავტ,კოლ, სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი,გვ224;
[59]ტურავა, სისხლის სამართალი, გვ 279

შეთანხმებული და მომზადებული დანაშაულის ჩასადენად. ანუ არ უნდა იყოს შემთხვევით შექმნილი. არაა აუცილებელი ჯგუფის წევრებს გადანაწილებული ჰქონდეთ მოვალეობები.

პირი, რომლის ინიციატივითაც მოხდება ჯგუფის ჩამოყალიბება და ორგანიზებას გაუწევს მათ მიერ დანაშაულის ჩადენას, ის ჯგუფის მიერ ჩადენლი ყველა დანაშაულისათვის აგებს პასუხს. მას აგრეთვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ჯგუფის შექმნისათვის.

ორგანიზებული ჯგუფის წევრები პასუხს აგებენ თავიაანთ მიერ ჩადენილ დანაშაულზე და ჯგუფში მონაწილეობისათვის.

ორგანიზებული ჯგუფისგან განსხვავდება **ბანდა**, ის დანაშაულის სპეციალური სახეა და განიმარტება როგორც მყარ შეიარაღებულ ჯგუფად, ორგანიზაციაზე ან პირზე თავდასხმისთვის შექმნილი და ჩამოყალიბებული.

ბანდა შეიძლება ორი ან მეტი დანაშაულის ჩასადენად შეიქმნას, ის განსხვავდება სხვა ჯგუფებისგან შეიარაღებით. ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება არ იყოს შეიარაღებული, მაგრამ ბანდა აუცილბლად იქნება. გამყრელიძე ბანდის დამფუძნებელ ნიშნად სიმყარეს თვლიდა. ბანდა , მისი შეხედულების მიხედვით, მყარი დანაშაულებრივი ჯგუფია, რომელიც ერთზე მეტი დანაშაულის ჩასადენად იქმნება , ორგანიზებული ჯგუფისათვის კი სიმყარე არაა აუცილებელი. ამავე აზრს ავითარებს ნაჭყებიაც , რომელიც ბანდას რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად შექმნილ ორგანიზებულ ჯგუფს უწოდებს.[60]

ბანდის სწორ განსაზღვრებას აყალიბებს თოდუა, რომელიც საკანონმდებლო განმარტებაში მოცემულ ყველა ნიშანს ითვალისწინებს, როგორც ორგანიზებული ჯგუფის სიმყარეს(წევრთა თავისუფალი დენადობის არარსებობა, მტკიცე შინაგანი

[60]ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი ,,სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები ''2011წ.გვ 255 განიხილავს -გამყრელიძე,განმარტება, გვ 210, ნაჭყებია, ავტ, კოლ, სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი, გვ 226.

წესრიგი, ხანგრძლივი დროით მოქმედება ერთზე მეტი ანუ რამდენიმე დანაშულის განსახორციელებლად) , ასევე მისი შეიარაღებას და პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზანს.[61]

3.1.2. დანაშაულის შემხებლობა და დანაშაულის შეუტყობინებლობა

დანაშაულში თანამონაწილეთა გვერდით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს ქმედებანი, რომლებიც დანაშაულის ჩადენას ხელს არ უწყობენ, თანამონაწილეობას არ წარმოადგენენ, მაგრამ ამ დანაშაულის გარეშე არ მოიაზრებიან. ეს ქმედებებია დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა, დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი განუცხადებლობა და დანაშაულის მიმნებებლობა.[62]

დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა.

დანაშაულის წინასწარ შეპირებული დაფარვა მიზეზობრივადაა დაკავშირებული დანაშაულის ჩადენასთან, ის დანაშაულში თანამონაწილეობას წარმოადგენს. მაგრამ შეიძლება მოხდეს ისე, რომ დანაშაული დაიფაროს წინასწარ შეუპირებლადაც. ამის მიზეზი დანაშაულისათვის თავის არიდებაა. დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა არის დამოუკიდებელი დანაშაული(delictum sui generis). მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი კი 375-ე მუხლით სჯის მძიმე , განსაკუთრებით მძიმე და

[61] ნ. თოდუა წიგნში: სისხლის სამართალის კერძო ნაწილი, გვ 500-501

[62]დანაშაულის შემხებლობაზე ძველი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დაწვრილებით იხ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, გვ. 388-412

დისპოზიციაში სპეციალურად ჩამოთვლილ დანაშაულთა წინასწარ შეუპირებელ დაფარვას , როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს.[63]

შემთხვევა: პეტრე შუაღამისას ივანეს ბინაში შეიპარება და ახალ კომპიუტერს წაიღებს.იგი შეთანხმებულია პავლესთან, რომელსაც კომპიუტერის ყიდვა სურს, მაგრამ მაღაზიაში ყიდვისათვის საკმარისი ფული არ აქვს. პეტრე მოპარული კომპიუტერით პირდაპირ პავლეს მიადგება სახლში, რომელიც იაფ საქონელს დიდი სიხარულით შეიძენს. პავლე ქურდობის თანამონაწილეა, რადგან მის მიერ კომპიუტერის ყიდვა (წინასწარ შეპირებული) დანაშაულთან მიზეზობრივადაა დაკავშირებული. [64]

დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა მართლმსაჯულების განხორციელებას უშლის ხელს. მისი სუბიექტია მხოლოდ ის პირი, რომელსაც დანაშული თავად არ ჩაუდენია . სისხლის სამართლის დოგმატიკის ლოგიკიდან გამომდინარე, დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვისათვის არ დაისჯება დანაშაულში თანამონამონაწილე, თუნდაც მან შესაბამისი ქმედება განახოციელოს, რადგან ძირითად დანაშაული და ამ დანაშაულის კვალის დაფარვა ამსრულებლის ან თანამონაწილის მიერ ლოგიკურადაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. დამნაშავემ დანაშაულის დაფარვის მიზნით შეიძლება გაანადგუროს მტკიცებულებები, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების განადგურება, მათი გაყიდვა, თავიდან მოშორება, ან მათი გაყიდვა და შეძენა.

შემთხვევა: პეტრე შუაღამისას ივანეს ბინაში შეიპარება და ახალთახალ კომპიუტერს წაიღებს. მან იცის, რომ პავლეს კომპიუტერის ყიდვა სურს და ამ მოპარული კომპიუტერით პირდაპირ პავლეს მიადგება სახლში. პავლე დახარბდება იაფ საქონელს და კომპიუტერს იყიდის , თუმცა მან იცის, პეტრეს ეს ძვირფასი კომპიუტერი მხოლოდ შავი გზით ექნება ნაშოვნი. პავლე ქურდობის თანამონაწილე არაა, რადგან

---

[63] იხ. ი. ვარძელაშვილი, დანაშაულის დაფარვა და შეუტყობინებლობა (საკანონმდებლო სრულყოფისათვის), წიგნში: მზია ლეკვეიშვილი - 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014, გვ. 323-324.

[64]ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი, დასახ. ნაშრ. გვ. 257.

მის მიერ კომპიუტერის ყიდვა (წინასწარ შუპირებელი) დანაშაულთან არაა მიზეზობრივად დაკავშირებული. იგი მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის (ანუ ერთ-ერთი ნივთმტკიცების) შეძენისათვის აგებს პასუხს.[65]
თუმცა დანაშაულის წინასწარი შეუპირებელი დაფარვა ფორმალური დანაშაულია. იგი ძირითად ხორციელდება დანაშაულის დაფარვის, დამნაშავესათვის სასჯელის თავიდან აცდენის გამო.

დანაშულის დაფარვისას პირს (პირდაპირი და ევენტუალური) წინასწარი განზრახვა უნდა ჰქონდეს და ამას აკეთებდეს შეგნებულად და გააზრებულად. შეიძლება დანაშაულის დაფარვაში თანამონაწილეობაც, მაგალითად წაქეზება, რომ ამა თუ იმ პირმა დაფაროს დანაშაული ან დახმარება, გაანადგუროს სამხილები.
თანამედროვე ლიბერალური სისხლის სამართალი, ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ახლო ნათესავის მიერ დანაშაულის დაფარვას სასჯელის გამომრიცხველ გარემოებად თვლის.

დანაშაულის შეუტყობინებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულის შეუტყობინებლობა ისჯება ორი მუხლის მიხედვით. პირველია 376-ე მუხლი. დანაშაულის შეუტყობინებლობა და მეორე სსკ 294-ე მუხლი , რომელიც სჯის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, მაგალითად როდესაც პირი ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი ორგანიზმებისათვის მავნე ნივთიერებების ზღვაში ჩაყრის შესახებ არ შეატყობინებს

[65]ამ საკითხზე იხ. ო გამყრელიძე, ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა. წიგნში: ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბილისი, 1998, გვ. 201-208.

შესაბამის ორგანოებს. გემის კაპიტანმა ან სხვა მცურავი საშუალებების მფლობელმა პირმა, დაუყონებლივ უნდა აცნობოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციას ასეთი დანაშაულის შესახებ. შესაძლებლია ზღვის დაბინძურება მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში გემის დაზიანების ან სხვა მიზეზების გამო, ამ შემთხვევაშიც არ უნდა მოხდეს დაფარვა, მან შეიძლება გამოიწვიოს მავნე შედეგი და პირი უნდა დაისაჯოს ჩადენილი დანაშაულისათვის.

სისხლის სამართლის კოდექსში განსხვავდება წინასწარ შეპირებული და შეუპირებელი შეუტყობინებლობა.

შემდეგ გაირკვევა, როგორი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს პირს წინასწარ შეპირებული შეუტყობინებლობისთვის, როგორც თანამონაწილოება, თუ როგორც დამოუკიდებელი დანაშაული delictum sui generis.

შემთხვევა: თბილისური ეზოს მცხოვრები პეტრე შეპირდება ბანდის წევრებს, რომ იგი პატრულს არ გამოუძახებს , თუ მეზობლების არყოფნისას ბანდის წევრები მათ ბინებში შევლენ და ძვირფასეულობას წაიღებენ . მას სურს მეზობლების გამწარება, რომლებმაც ამ ბოლო დროს დიდი ფული იშოვეს. ბანდის წევრები პეტრეს მეზობლების ბინებში შევლენ და ძვირფასეულობას გამოიტანენ. როგორ დაკვალიფიცირდება პეტრეს ქმედება, როგორც თანამონაწილეობა (რადგან პეტრეს შეპირებამ ბანდის წევრებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება განუმტკიცა), თუ როგორც მხოლოდ შეუტყობინებლობა (რადგან ბანდის წევრები დანაშაულს პეტრეს შეპირების გარეშეც ჩაიდენდნენ?).[66]

დანაშაულის შეუტყობინებლობის დისპოზიცია მოიცავს სათანადო ორგანოებისათვის შეუტყობინებლობას, რომ მზადდება ან უკვე ჩადენილია დანაშაული.[67] დოგმატიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, შეუტყობინებლობა იმისა, რომ მზადდება დანაშაული, დანაშაულთან მიზეზობრივ კავშირშია და ამიტომაც თანამონაწილეობას წარმოადგენს.

[66]ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი, დასახ. ნაშრ, გვ. 260.

[67] ი. ვარძელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 328.

ამრიგად ერთმანეთისაგან განსხვადება დანაშაულის მომზადების შეუტყობინებლობა გარანტის მიერ, რასაც იგი დახმარებას თვლის და დანაშაულის შეუტყობინებლობის არაგარანტის მიერ, რაც მიზეზობრივად არაა დაკავშირებული დანაშაულთან. ესაა დამოუკიდებელი დანაშაული.[68]

დანაშაულის წინასწარ შეპირებული შეუტყობინებლობა უფრო მეტად დასასჯელია, მაგრამ განხილულ შემთხვევაში პირი არ ითვლება თანამონაწილედ, რადგან იგი არაა მეზობლების გარანტი. მდგმურების ერთ ბინაში ცხოვრება ან მეზობლად ცხოვრება გარანტის სამართლებრივ ვალდებულებას არ წარმოშობს.

თავი IV კვლევის შედეგები

ჩემს მიერ არჩეულ თემაზე მუშაობისას წავაწყდი არაერთ პრობლემას. ისეთებს, როგორიც არის თანაამსრულებლის და დამხარის როლების გამიჯვნას ისე, რომ არ იყოს არცერთ შემთხვევაში კითხვის ნიშნები დასმული თუ როგორ უნდა მივცეთ პასუხისგებაში ესა თუ ის პიროვნება, როდესაც ჩაიდენს დანაშაულს ისე, რომ არ მოხდეს მისი როგორც ადამიანის კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებული უფლებების დარღვევა, რაც გულისხმობს იმ ფაქტს, რომ არ მოხდეს ადამიანისთვის ისეთი კვალიფიცირება დანაშაულში შემხებლობის დროს რაც მას არ აქვს ჩადენილი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩემთვის, როგორც მოქმედი გამომძიებლის პრაქტიკა არის ისევე ორად გაყოფილი როგორც თეორიულ დონეზე, ჩემს პრაქტიკაში ასევე ყოფილა ისეთი შემთხევები, რომ მსგავს ორ საქმეზე სასამართლოს აქვს დაყენებული შედეგი პირზე როდესაც იგი არის დანაშაულის ჩადენის დროს დარაჯი, როგორც დამხმარე ასევე თანაამსრულებლად, შესაბამისად

[68] ქ.მჭედლიშილი-ჰედრიხი- სისხლის სამართალი 2011წ.

კარგი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექში შესულიყო ცვლილება და მომხდარიყო თანამონაწილეობის დროს ჩადენილი დანაშაულის როლების მკაფიოდ და კონკრეტულად განსაზღვრა. ასევე შესაძლებელია სასამართლოს გაეკეთებინა მკაფიო და პირდაპირი განმარტება თანამონაწილეობის დროს როლების გამიჯვნის შესახებ, რაც შემდგომში უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი მაგალითი სხვა მოსამართლეებისთვის განჩინების გამოტანისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ არის დაფუძვნებული პრეცედენტულ სამართალზე. ასევე ნაშრომში კვლევისას აღმოვაჩინე, რომ აღნიშნულ თემაზე არის მოძველებული თეორიები, რომლებმაც დროს ვერ აუბეს ფეხი და შეიძლება ჩაითვალოს ჩამორჩენილად, რადგან ადამიანის უფლებები და თავისუფლებელი ყოველდღიურად ვითარდება და დღევანდელ რეალობაში აღარ აქვს ძალა ძველ თეორიებს, რომ განსაზღვროს პირის სწორი კვალიფიკაცია ისე, რომ არ მოხდეს მისი უფლებებების დარღვევა. შესაბამისად საჭიროა მოხდეს სისხლის სამართლიოს კოდექსის სრული და მთლიანი განხილვა დღევანდელ რეალობასთან შესაბამისად და აღნიშნულით მოხდეს ხელძღვანელობა კონკრეტული დანაშაულის ჩადენის დროს. რათა არ იყოს აზრის ორად გაყოფა და არ დაირღვეს ადამიანის უფლებები. ასევე სირთულეს წარმოადგენს დღევანდელ დღეს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ვინაიდან მნიშვნელოვნად განვითარდა ორგანიზებული დანაშაულის ჩადენა და მაშტაბები, შესაბამისად რთულია ორგანიზებული დანაშაულის წევრების მიერ ჩადენილი ყველა ქმედების განსაზღვრა და მათი როლების გამიჯვნა ერთმანეთისგან ასევე, რთულია ორგანიზატორის დადგენა.

დასკვნა

დანაშაულში თანამონაწილეობის განხილვამ გვაჩვენა, რომ მისი არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლისთვის. თნამონაწილეობის ნიშნები ქართულ სამართალში ადრეულ სააუკუნეებიდანვე შეინიშნება, რაზეც მიანიშნებს ძველი ქართული სამართლებრივი თუ ისტორიული ლიტერატურა და მასში მოყვანილი თანამონაწილეობის აღმნიშვნელი სიტყვები, როგორიცაა „თანაშედგომა“, „მიმდგომა“, „მეშუელი“, „ასაბია“ და სხვა. დანაშაულში თანამონაწილეობა შემდგომ უკვე ჰპოვებს განვითარებას, რამაც დღევანდელი სახე მიიღო და ჩამოყალიბდა როგორც სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტი.

დანაშაულში თანამონაწილეობის არსებობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და მისი გამიჯვნა დანაშაულის ამსრულებლობისგან ქართული სისხლისსამართლებრივი აზროვნების პროგრესზე მიანიშნებს.

დანაშაულში თანამონაწილეობის ირგვლივ საუბარმა დაგვანახა, რომ იგი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია პირადი პასუხისმგებლობის პრინციპთან მიმართებაში. დანაშაულში თითოეული თანამონაწილე სხვასთან თანაბრალეულობის მიუხედავად პასუხს აგების საკუთარი ბრალის ხარისხის მიხედვით. ეს მიდგომა, ჩემი შეხედულებით, ძალზედ თანამედროვე და ჰუმანურია. ადამიანის მკვლელობაში დამხმარემ არ უნდა აგოს პასუხი იმ ხარისხით, რა ხარისხითაც უშუალო მკვლელობის ამსრულებელმა, თუმცა მკვლელის დახმარებაც მძიმე დანაშაულია. დანაშაულში თანამონაწილეს პასუხისმგებლობა ეკისრება მისი ჩადენილი ქმედების მიხედვით, ეს იქნება ორგანიზატორობა, წაქეზება თუ დახმარება.

დანაშაულში თანამონაწილე, როგორც ზემოთ ვთქვით, შეიძლება იყოს ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე. თანამონაწილეობის ეს სამი სახე ამსრულებელთან ერთად ქმნის დანაშაულში თანამონაწილეობას, რომელიც თავისი ხასიათიდან გამომდინარე უაღრესად საშიშია საზოგადოებისთვის, ვიდრე ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, რადგან ფიზიკურად და ინტელექტუალურად ერთობაში მყოფი პირების შესაძლებლობები რეალურად აღემატება ერთი ადამიანის შესაძლებლობებს და თუ კი ასეთ ერთობაში მყოფი ჯგუფი დანაშაულის ჩადენას გადაწყვეტს, რაღა თქმა უნდა მას გაუადვილდება ჩანაფიქრის განხორციელება. სწორედ ეს ხდის დანაშაულში თანამონაწილეობას საზოგადოებისთვის უფრო საშიშად. ზოგადად ჯგუფური დანაშაული საზოგადოებისთვის უფრო საშიში არის, თუმცა ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნებისმიერი ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული უფრო მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე სხვა ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაული. უკეთ გასაგებად მოვიყვან ორ მაგალითს: 1. წინასწარ შეთანხმებულმა ჯგუფმა, სადაც როლები გადანაწილებული იყო, ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ქმედება ხულიგნობა. 2. პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება ყაჩაღობა. რათქმაუნდა მეორე მაგალითში მოყვანილი ქმედება უფრო საშიშია საზოგადოებისთვის, მაგრამ ჯგუფური დანაშაულის საშიშროების არსი მდგომარეობს იმაში, რომ აქ გვაქვს ორი ან მეტი პირის ფიზიკური და ინტელექტუალური ერთობა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ამავე დროს ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული უაღრესად საშიშია საზოგადოებისთვის, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საკითხები. თანამონაწილეობის ინსტიტუტის არსებობა ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში და ამ თემასთან დაკავშირებით ქართველი პროფესორების,

დოქტორანტების, მაგისტრანტების ნაშრომები თუ მსჯელობები მიანიშნებს, ქართული სამარტლერივი აზროვნება პროგრესის გზით ვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

მონოგრაფიები

1) თინათინ წერეთელი, „თანამონაწილეობა დანაშაულში", წიგნში: თინათინ წერეთელი, ,,სისხლის სამათლის პრობლემები მე-2 ტომი. თბილისი. 2007 წ.

2) ქ. მჭედლიშილი-ჰედრიხი, ,,სისხლის სამართალი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები‘’, თბილისი, 2011წ.
3) ადამ მახარაძე, ,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარებისათვის’’, თბილისი, 2006 წ.
4) ო.გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. წიგნში: ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები. III ტომი, თბილისი, 2013 წ.
5) ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. წიგნში: ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები. II ტომი, თბილისი, 2013.
6) ნაჭყებია, სისხლის სამართალის ზოგადი ნაწილი, 2011წ.
7) ნონა თოდუა, მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი- ,,სისხლის სამართლის კერძო ნაწილი’’ 2011წ.
8) მერაბ ტურავა ,,სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი’’ 2010წ.
9) სისხლის სამართალი, (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2018.
10) ლ. სურგულაძე, სისხლის სამართალი, 1997წ.
11) რ.კვარაცხელია -,,სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ყაჩაღობისათვის’’.თბ. 2010 წ.

12) ო. გამყრელიძე, ახლო ნათესავის მიერ ჩადენილი დანაშაულის დათვარვა. წიგნში: ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბილისი, 1998 წ.

13) თ. ებრალიძე, წამქეზებლის ფიგურა სისხლის სამართალში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2003, #3. წ.

14) თ. ებრალიძე, წამქეზებელი წაქეზებულის წინააღმდეგ. წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები. თბილისი, 2006 წ.

15) თ. ებრალიძე, ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხისათვის. წიგნში: სისხლის სამართლის ტანამედროვე პრობლემები. თბილისი, 2006 წ.

16) ი. ვარძელაშვილი, დანაშაულის დათვარვა და შეუტყობინებლობა (საკანონმდებლო სრულყოფისათვის), წიგნში: მზია ლეკვეიშვილი - 85. თბილისი, 2014 წ.

17) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976 წ.

18) ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დანაშაული და მისი აგებულება), თბილისი, 2010 წ.

19) სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, თბილისი, 2002 წ.

ნორმატიული მასალა

1) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2019წ.

დანართი N 1

პროკურორები და გამომძიებლები	**კითხვა: დანაშაულის ჩადენის დროს დარაჯად ყოფნა არის:**
ქ. თბილისის ისანი-სამგორის პროკური 1	პასუხი: **თანაამსრულებელი**
ქ. თბილისის ისანი-სამგორის პროკური 2	პასუხი: **დამხმარე**
ქ. თბილისის ისანი-სამგორის პროკური 3	პასუხი: **თანაამსრულებელი**
ქ. თბილისის მთავარი პროკურატურის პროკურორი 1	პასუხი: **თანაამსრულებელი**
ქ. თბილისის მთავარი პროკურატურის პროკურორი 2	პასუხი: **თანაამსრულებელი**
შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის	პასუხი: **დამხმარე**

გამომძიებელი 1	
შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის გამომძიებელი 2	პასუხი: **დამხმარე**
შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის გამომძიებელი 3	პასუხი: **თანაამსრულებელი**
შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის გამომძიებელი 4	პასუხი: **თანაამსრულებელი**
შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის გამომძიებელი 5	პასუხი: **თანაამსრულებელი**